5
577 ო 9249
სსრ. სახელმწიფო
რესპუბლიკური
ბიბლიოთეკა
ეროვნული
ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული საქართველო

1980 | 3 ოქტომბერი, პარასკევი
№ 40 (2217)
გამოცემის 48-ე წელი

საქართველოს საბჭოთა მწერლების
კავშირის გამგეობის ორგანო
«ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО»
ОРГАН ПРАВЛЕНИЯ СОЮЗА СОВЕТСКИХ
ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ

7 ოქტომბერი სსრ კავშირის კონსტიტუციის დღე

თეიმურაზ ჯანგულაშვილი

წიგნი — კანონი ჩვენი ცხოვრების

ჩემს მაგიდაზე დევს მომცრო წიგნი
და ჩაუქრობელ შუქად მინთია,
მასთან ვსაუბრობ გულით და ფიქრით,
ჩემი ცხოვრებაც მისთვის მინდვია.
მასში სიმართლის შუქი ანთია,
მასში ძგერს გულის მთავარი ძარღვი,
ხალხის ცხოვრების დიად ქარტიად
მას წერდა ხალხი,
უკვდავი ხალხი.
მას ხალხი წერდა შრომით და ბრძოლით,
ხალხი, მჭედელი ამ დიად დღეთა,
მისი ყოველი სტრიქონის ბოლოს
დიდი ლენინის ხელწერას ვხედავ.
ის მშობლის ენით მესაუბრება
მისულს სიცოცხლის უნათლეს კართან,
მან მომცა ქვეყნად ყველა უფლება
არაკაცობის უფლების გარდა.
მისით შეები ყოველგვარ ავდარს,
მისით იშრომე,
მისით იმძლავრე,
მომავლის დროშად,
მებრძოლ და მართალ
სიცოცხლის დროშად წინ წაიმძღვარე!

ქართველი მწერლები აბაშელ მშრომელებთან

ჟამი სთვლობისა

დავით მჭედლური

აბაშში დილიდანვე დაიწყო ზეიმი, რაიონს მშვიდად გადაეცა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულის გარდამავალი წითელი დროშა.

შუადღისას კი აბაშელები გულთბილად შეხვდნენ ქართველ მწერალთა ერთ ჯგუფს. ისინი რაიონის მშრომელებთან ჩამოვიდნენ იმ წარმატებებისა და სიახლეების გასაცნობად, რასაც აბაშის პარტიული და საბჭოთა ორგანოები, აბაშელი მშრომელები აღწევენ და ახორციელებენ სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის, მატერიალური და მორალური სტიმულირების ახალი ფორმების დანერგვისათვის; სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კპ XXVI ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის.

მზითა და ყვავილებით შეეგება აბაშის მიწა საქართველოს მწერალთა კავშირის დელეგაციას, რომლის შემადგენლობაში იყვნენ: ჯანსულ ჩარკვიანი, გიორგი ჟორჟოლიანი, ლადო სულაბერიძე, თეიმურაზ ჯანგულაშვილი, ვახტანგ ჯავახაძე, გივი გეგეჭკორი, გივი ძნელაძე, გიორგი გიგაური, ალუდა არაბული, მზია ხეთაგური, თენგიზ ჩალაური. დამხვდურთა შორის არის ჩვენი სასიქადულო მწერალი კონსტანტინე ლორთქიფანიძე.

— აბაშში მასპინძელი ვარ, — ბრძანებს ბატონი კონსტანტინე და დიალაც შეშფერის მასპინძლობის დაჩემება, აკი მისი მადლიანი კალმით გაიცნო სულ პირველად ქვეყანამ აბაშელთა წარმატებები, მისგანვე ვიცით, რომ აბაშის რაიკომის პირველი მდივანი გურამ მგელაძე, კაბინეტის სიმყუდროვეში მონათხრობს ათასგზის ამჯობინებს, აბაშელთა ცხოვრებითა და საქმიანობით დაინტერესებულ კაცს თვალით აჩვენოს ის, რაც გაკეთებულა ან კეთდება, რადგან სიტყვა და საქმე ყველაზე უკეთ უხდებიან ერთმანეთს, თუკი ორნივ ერთმანეთის ტოლფასი და ერთმანეთისადმი უღალატონი არიან.

...და აი, გურამ მგელაძე სტუმრებს საკოლმეურნეო ფერმებისა და სიმინდის ყანებისაკენ მიუძღვის.

ბევრი უხნავთ და უთესავთ აბაშელებს, ხელმადლიანადაც უშენებიათ, და ახლა სთვლობის ჟამი ყველაზე უკეთესი დროა, რათა მშრომელმა კაცმა მიითვალოს თავისი შრომის ნაყოფი, თავისი ჭირნახული, ეგზომ უხვად რომ მოჰფენია რიონის გაღმა-გამოღმა ჭალებს და, როგორც იტყვიან, ავ თვალს არ დაენახვება.

მკითხველის შეწუხებას არ ვაპირებ იმ ათასგვარი ციფრებითა და პროცენტების დასახელებით, ჩვეულებრივ სამეურნეო მუშაობის შედეგებს რომ აფასებენ ხოლმე, და ვგონებ ამის გაკეთება არც არის აუცილებელი, რადგან ვისაც ეს მაჩვენებლები წესრიგში არა აქვს, იმას საპატიო დიპლომებითა და გარდამავალი დროშებით როდი აჯილდოებენ.

დღეს აბაშში სამეურნეო და სოციალ-კულტურული მიღწევების ყველაზე უტყუარი და შეუმცდარი გამოხატულება აქაური მშრომელი კაცის განწყობილება, გზის პირებზე გამწკრივებული კოხტა ოდები და ახლად საძირკველჩაყრილი ახალ-ახალი სამოსახლოები.

მკვიდრად, გულმაგრად, იმედიანად მობრუნებია აქაური კაცი მშობლიურ კოლხეთის მიწას, რომელიც არცთუ ისე დიდი ხნის წინათ, ლამის არ იყო გავერანდა, ჭაობისა და შამბის სამკვიდროდ გადაიქცა.

აბაშის რაიონული ცენტრიდან სულ რამდენიმე კილომეტრზე შენდება მეღორეობის მსხვილი კომპლექსი, კომპლექსი კი არადა მთელი ფერმა-ქალაქი, უახლესი ტექნიკით აღჭურვილი, სანიმუშო სისუფთავით გამორჩეული, არა მარტო სამეურნეო ობიექტი, არამედ მეცნიერული კვლევის ადგილიც, სადაც დღენიადაგ სწავლობენ, აჯვარებენ, აქაურ პირობებს უხამებენ მოძმე რესპუბლიკებიდან და საზღვარგარეთიდან შემოყვანილ ღორის ჯიშებს, უფრო ეფექტურ გზებს ეძებენ პირუტყვის სულადობის ზრდისა და წონამატის მისაღებად.

მოკლე ინტერვიუ კომპლექსის დირექტორთან იაკობ ვასაძესთან:

— პატივცემულო იაკობ, რა პერსპექტივები აქვს თქვენს კომპლექსს?

— როცა ყველა შენობა მთლიანად შევა ექსპლოატაციაში, სახელმწიფოს ყოველწლიურად გაცილებით მეტ ხორცს მივყიდით, მუშაობა კონვეიერული წესით მიმდინარეობს, ყოველი წვრილმანი გათვალისწინებული და დაგეგმილია.

საუბარში გამოირკვა, რომ იაკობ ვასაძე ხარკოვის ოლქში მუშაობდა მეურნეობის დირექტორად; ერთ დღეს აბაშის რაიკომიდან წერილი მიიღო, რაიკომის პირველი მდივანი სწერდა... ადვილად მისახვედრია, რა ეწერებოდა იმ წერილში, რადგან ამის შემდეგ მალევე გადმოვიდა სამუშაოდ აბაშში.

იაკობ ვასაძე წარმოსადეგი კაცია, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი, მრავალნაცადი და შეუმცდარი სპეციალისტი, მზრუნველი და ყაირათიანი მეურნე, მაძიებელი მეცნიერი, მტკიცე საფუძველი ჩაუყრია აბაშის მეღორეობის კომპლექსისათვის. და როცა მომავლის გეგმებს ასეთი ადამიანები ადგენენ, მათს განხორციელებაში ეჭვის შეტანა, თითქმის შეუძლებელია.

ქართველი მწერლები ლიმონარიუმის სტუმრები არიან. აბაშელთა მიღწევებით იმდენი ვინმეა დაინტერესებული, ყველა სტუმარმა რომ თითო ხე დარგოს, ალბათ ცოტა ხნის შემდეგ აქ უზარმაზარი ბაღი გაშენდება. განსაკუთრებით აღსანიშნავი და საგულისხმოა, რომ პირველი ნერგი ლიმონარიუმში საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს დაურგავს ამ ზაფხულს, აბაშის რაიონის ცხოვრებას რომ ეცნობოდა.

და კვლავ მეცხოველეობის კომპლექსები... დამთავრებული და დაუმთავრებელი, ათასობით მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისათვის გათვალისწინებული... კვლავ მზრუნველი და მშრომელი ადამიანები, საზოგადოებრივი მეურნეობისაკენ გულით შემობრუნებული და რწმენაგამთელებული, რადგან ამ საზოგადოებრივი მეურნეობის ნაყოფმა უხვად შეაღწია თითოეული გლეხკაცის, მხვნელ-მთესველისა და მეცხოველის ოჯახში, ხვავი და ბარაქა დააყენა, პატიოსანი შრომით ცხოვრების საშუალება მისცა იმათ, ვისაც ოდითგან მოსდგამდა ამგვარი ცხოვრების სიყვარული და პატივისცემა.

მოკლე ინტერვიუ რაიკომის პირველ მდივანთან:

— პატივცემულო გურამ, ორიოდე სიტყვა აბაშური ექსპერიმენტის შესახებ...

— მე რომ მკითხოთ, სიტყვა „ექსპერიმენტს" ალბათ უფრო სხვა მნიშვნელობა აქვს და მაინცდამაინც არ ესადაგება იმას, რაც ჩვენს რაიონში კეთდება, რადგან, ახალი ამბავი არ არის, რომ მშიერს — მაძღარი, ხოლო ღარიბულს, შეძლებული ცხოვრება გაცილებით სჯობია; მთავარი იმის მიღწევაა, რომ სოფლის კაცმა თავის მარჩენალი მიწა მარტო ვალდებულების გამო კი არა, არამედ სიყვარულითა და მომავლის იმედით დაამუშაოს, მისგან გაქცევას კი არ ცდილობდეს, არამედ მიილტვოდეს მისკენ, როგორც დოვლათის წყაროსაკენ, უხვად რომ ავსებს, როგორც სახელმწიფო ბეღელს, ასევე ცალკეული გლეხკაცის ოჯახსაც, ეს კი შესაძლებელია, მხოლოდ ეკონომიკური სტიმულირების იმ ახალი ფორმების საშუალებით, რომელიც ჩვენთან დაინერგა და სოციალისტური საზოგადოების პრინციპებიდან და დღევანდელი ეკონომიკური ცხოვრების მოთხოვნებიდან გამომდინარეობს.

სადაც არ უნდა შეიხედოთ, მეურნეობის რომელ უბანზეც არ უნდა მიხვიდეთ, ყველგან იგრძნობა ადამიანზე ზრუნვა, მეცხოველეობის მსხვილი კომპლექსები დამთავრებულად არ ითვლება, თუ იქ მომსახურე პერსონალისთვის განკუთვნილი, კომფორტაბელური საცხოვრებელი არ აშენდა, ხოლო ასობით ჰექტარზე გადაჭიმულ სიმინდის ყანებში შენდება მექანიზატორების დასვენებისა და გართობისათვის გამიზნული, ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით აღჭურვილი საცხოვრებელი კომპლექსები, ბრიგადის სახლებს რომ ეძახიან აქაურები, — მინდვრად გასულმა კაცმა აქაც სრულად უნდა ისარგებლოს ცხოვრებისეული ყველა სიკეთით, აბანოდან დაწყებული, ვიდრე ტელევიზორითა და კალათბურთის მოედნით დამთავრებული. ასეთ ვითარებაში კი სულაც არ არის გასაკვირი, რომ მინდვრად მომრავლდნენ ჭაბუკები და ქალიშვილები, ადამიანებმა პრაქტიკულად იგრძნეს ყურადღება და მზრუნველობა, ხოლო მშრომელთათვის პრაქტიკული ზრუნვა რომ გაცილებით სჯობია ლიტონ სიტყვას, ამას დამტკიცება და ექსპერიმენტი არ ესაჭიროება.

ზრუნვა ადამიანისათვის, ზრუნვა მშრომელისათვის, — აი, ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის მუშაობის მთავარი მიმართულება, აბაშში კარგად ჩანს ამ მუშაობის შედეგები და კეთილი ნაყოფი.

ამის სანიმუშო მაგალითი იყო პარტიის აბაშის რაიკომის სხდომათა დარბაზში გამართული პოეზიის საღამოც. აბაშელმა მშრომელებმა, მექანიზატორებმა, მესიმინდეებმა, მეცხოველეებმა, ინტელიგენციის წარმომადგენლებმა გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს ქართველ მწერლებს, თავისიც უთხრეს, სტუმრებსაც მოუსმინეს; თითოეული აქაური ორატორის სიტყვაში თავისი რაიონის, თავისი მიწისა და ხალხის სიყვარული, მათი მიღწევებით აღძრული სიამაყის სიმი ხმიანობდა, ჩანდა რწმენა, რომ წაღმა დარგული ნერგი, უკუღმა არასოდეს არ ამოვა, რომ უძველეს კოლხურ მიწას კვლავ დაუდგა ნათლიერის ჟამი, რომელიც გაღვივებასა და გაჯანსაღებას უქადის მას.

არც სტუმრები დარჩენილან ვალში, თავისი აღტაცება და სიხარული გამოხატეს აბაშელთა მიღწევებით, დიდხანს ისმოდა ლექსი და სიმღერა, იმათი სახელებიც მრავალგზის ახსენეს, ვინც აგრერიგად ამშვენებს ქართულ მწერლობას, ვინც ამ მიწაზე დაიბადა და საქვეყნოდ გაიტანა აქაური მიწის სახელი — კონსტანტინე გამსახურდია, სიმონ ჩიქოვანი, ალექსანდრე აბაშელი...

კვლავ მზიანი ნათლიერი დარი დანათის კოლხეთის მიწას, კომბაინები და მანქანები მისდგომიან სიმინდის უსაზღვრო ყანებს, ოქროსფერ ღვარად მოედინება განთქმული აბაშური სიმინდი, თავისი შრომის ნაყოფს იმკის მშრომელი კაცი რიონის გაღმა-გამოღმა, თუმცა ამ ნაპირებს რიონის მღვრიე ტალღები დიდად აშორებს ერთმანეთს, მეურნე კაცის სიტყვით რომ ვთქვათ, შემოვლითი გზით ბარე ასი კილომეტრი უნდა გაიაროს რიონსგაღმა მოწეულმა მოსავალმა, ვიდრე კოლმეურნეობის ბეღლამდე მიაღწევდეს. სწორედ ამ პრობლემის გადასაწყვეტად შენდება რიონზე ერთ-ერთი უგრძესი და უმშვენიერესი ხიდი, ნახევარ კილომეტრს რომ აღწევს, — ხიდი სულ მალე დასრულდება და მტკიცედ დააკავშირებს რიონის ორივ ნაპირს ერთმანეთთან, ხელს შეუწყობს აქაური მიწების სრულად ათვისებას.

მოკლე ინტერვიუ მესიმინდე ნიკანდრო გვაზავასთან:

— დიდი მშენებლობაა თქვენთან ბატონო ნიკანდრო, თანაც ყველაფერს ახალს აშენებთ...

— ორი ჭადარი იდგა ამ შვიდი წლის წინ აბაშში, რაიკომი რომაა იმის წინ, ახლაც დგას ის ჭადრები. ეგენი იყვნენ, რასაც შეეხედებოდა და რითაც ვცნობდით რაიონულ ცენტრს. ახლა, ბატონო, თქვენი თვალით ნახეთ ყველაფერი. ამ ყანებს რომ უყურებთ, კაცი არ შესულა აქამდე შიგ, მანქანამ გააკეთა ყველაფერი, ახლა მოვედით მარტო მოსავლის დასათვლელად, თორემ კი ხედავთ, იმასაც მანქანა იღებს, ასე მოეწყო ჩვენი საქმე...

მაგრამ მანქანა რომ მანქანაა, ისიც თავისას ითხოვს, მოვლა და პატრონობა ესაჭიროება მასაც, სწორედ ამიტომ გურამ მგელაძეს ერთ-ერთ უპირველეს ამოცანად სამეურნეო ტექნიკის მოვლა-პატრონობა და შეკეთება მიაჩნია, ამ მიზნით შენდება სამეურნეო ტექნიკის სადგომები და შესაკეთებელი კომპლექსები, რომლებიც რამდენიმე კოლმეურნეობას მოემსახურებიან.

...და ზეიმობს ჟამი სთვლობისა კოლხეთის მიწაზე, ჟამი ჭირნახულის მოსთვლისა და მონაგრებისა, ათასობით სული პირუტყვი მოჰფენია ჯერაც მწვანე საძოვრებს, ბეღლებისაკენ მიიჩქარიან ოქროსფერი სიმინდით დატვირთული ავტომანქანები, მინდვრად გასულა მშრომელი კაცი და ხარობს მშობლიური მიწის ნაყოფით...

ახალი სასწავლო წელი

1 ოქტომბერს დაიწყო სასწავლო წელი პარტიული და კომკავშირული სწავლების, ეკონომიკური განათლების სისტემაში.

საქართველოს მწერალთა კავშირში პოლიტსემინარის მეცადინეობა გახსნა და შეკრებილთ ახალი სასწავლო წლის დაწყება მიულოცა საქართველოს მწერალთა კავშირის პარტორგანიზაციის მდივანმა, ჟურნალ „ცისკრის" მთავარმა რედაქტორმა მორის ფოცხიშვილმა.

მოხსენება თემაზე „ლენინური კომუნისტური პარტია ჩვენი ეპოქის გონება, ღირსება და სინდისია" წაიკითხა სემინარის ხელმძღვანელმა, საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა გიორგი ციციშვილმა.

— ჩვენი ქვეყანა დიდი აღმავლობით ემზადება სკკპ XXVI ყრილობის შესახვედრად, — თქვა მომხსენებელმა, — ამიტომაც სემინარულ მეცადინეობებზე ყურადღებას განსაკუთრებით გავამახვილებთ კომუნისტური პარტიის საეტაპო თარიღებზე, ჩვენი პარტიის გენიალური ბელადის ვ. ი. ლენინის შრომებზე, მარქსიზმ-ლენინიზმის უკვდავ მოძღვრებაზე. ამ საკითხებთან ერთად მწერალთა კავშირში მოწვეული მეცნიერები, პროპაგანდისტები, საერთაშორისო მიმომხილველები ილაპარაკებენ დღევანდელი მსოფლიოს პოლიტიკურ ვითარებაზე, მსოფლიო ეკონომიკაზე.

შემდეგ გიორგი ციციშვილმა ილაპარაკა კომუნისტური პარტიის შექმნაზე, ვ. ი. ლენინის უმნიშვნელოვანეს თეორიულ ნაშრომებზე, იმაზე, თუ რა უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა კომუნისტურმა პარტიამ ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების საქმეში, თუ როგორ უძღვის წინ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, მისი პოლიტბიურო ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის ხელმძღვანელობით, საბჭოთა ხალხს კომუნიზმის ნათელი იდეალების მისაღწევად.

მომხსენებელი შეეხო აგრეთვე თანამედროვე საერთაშორისო ცხოვრების აქტუალურ პრობლემებს.

სემინარის მონაწილეებმა, რომელთა შორის იყვნენ ცნობილი ქართველი მწერლები, საქართველოს მწერალთა კავშირის აპარატის, გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს", ჟურნალ „ცისკრის", მხატვრული ლიტერატურის პროპაგანდის ბიუროს თანამშრომლები, გამოთქვეს აზრი, რომ ასეთი საინტერესო სემინარული მუშაობა კიდევ უფრო გააღრმავებს მწერალთა პოლიტიკურ ცოდნას, რაც საწინდარი გახდება პარტიული იდეურობით, მოქალაქეობრივი სულისკვეთებით გამსჭვალული ნაწარმოებების შექმნისა.





გამოფენა „ასი სურათი"

საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში გაიხსნა გამოფენა, რომელზეც წარმოდგენილია ექსპონატები საბჭოთა რესპუბლიკების ხელოვნების განყოფილების ფონდიდან; გამოფენა, რომელსაც „ასი სურათი" ჰქვია, მოაწყვეს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ და საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმმა.

გამოფენაზე წარმოდგენილია რუსი, სომეხი, უკრაინელი მხატვრების, ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის სახვითი ხელოვნების შესანიშნავი წარმომადგენლების სურათები. თავიანთ ნაწარმოებებში ისინი გამოხატავენ სიყვარულს მშობლიური მიწა-წყლისადმი, ადამიანებისა და მათი სისხლხორცეული საქმისადმი. აქ არის როგორც უფროსი თაობის, ისე შედარებით ახალგაზრდა მხატვრების ნამუშევრებიც, იმათი, ვინც განაგრძობს სახელოვანი მასწავლებლების გზას — ერთგულად ემსახურონ სოციალისტური რეალიზმის პრინციპებს, მაღალმხატვრულად ასახონ თანამედროვეობა.

აქ წარმოდგენილია საბჭოთა ფერმწერების, გრაფიკოსების, თეატრის მხატვრებისა და თეატრის ფერმწერების, აკვარელისტების ნამუშევრები. დამთვალიერებლები ნახავენ ვლ. ფავორსკის, ა. გონჩაროვის, ა. აკოფიანის, ხ. ესაიანის, ე. ვახტანგოვის, ი. გოლიცინის, ა. ნიკიჩ-კრილიჩევსკის, ლ. ბრუნის, ა. ლაბასის, ვლ. დერვიზის და სხვების ნამუშევრებს. აქვე წარმოდგენილია საბჭოთა კარიკატურის ოსტატების — სოციალისტური შრომის გმირების, სსრ კავშირის სახალხო მხატვრების, ლენინური პრემიის ლაურეატების კუკრინიქსების (მ. კუპრიანოვის, პ. კრილოვის, ნ. სოკოლოვის) ნამუშევრები.





შეხვედრა პოეტთან

კიდევ ერთი ნაძვი შეემატა კომკავშირული ქალაქის ბორის ძნელაძის მშვენიერ ხეივანს, რომელიც ქალაქის საპატიო სტუმრების მონაწილეობით გაშენდა.

ეს ახალი ნაძვი დარგო სოციალისტური შრომის გმირმა, პოეტმა-აკადემიკოსმა ირაკლი აბაშიძემ, რომელიც საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და კომკავშირული ქალაქის საბჭომ მიიწვიეს კომკავშირის ქალაქში.

შეხვედრა ჩატარდა სააქტო დარბაზში — „კოსმოსში", წარმოდგენილი იქნა მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი ლიტერატურული კომპოზიცია, ახალგაზრდა პოეტებმა წაიკითხეს თავიანთი ლექსები.

ირაკლი აბაშიძემ მადლობა გადაუხადა შეხვედრის ორგანიზატორებსა და მონაწილეებს, რესპუბლიკის ყველა ახალგაზრდას უსურვა წარმატებანი სწავლასა, შრომასა და პირად ცხოვრებაში.

შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ქ. შარტავა, რომელმაც პოეტს გადასცა მოწმობა, რომ მისი სახელი შეტანილია საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის საპატიო წიგნში.

მწერლები ხევსურეთში

ამას წინათ მწერალთა ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ჯანსულ ჩარკვიანი, მედეა კახიძე, რევაზ ინანიშვილი, ნანა კანდელაკი, სოლომონ სამხარაული, ირაკლი გოგოლაური, გიორგი თურმანაული, ალუდა არაბული, ეწვია ხევსურეთს.

ღონისძიება მიეძღვნა ახალი სასწავლო წლის დაწყებას. მწერლები შეხვდნენ სოფელ ბარისახოს სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელებსა და პედაგოგებს.

მოსწავლე-ახალგაზრდობის აღზრდისა და მათთან მუშაობის შესახებ ისაუბრა სკოლა-ინტერნატის სასწავლო ნაწილის გამგემ გიორგი ლიქოკელმა. ბარისახოს სასოფლო საბჭოს თავმჯდომარემ მიხეილ არაბულმა სტუმრებს გააცნო ის სადღეისო პრობლემები, რომლებიც ცხოვრებამ დააყენა ხევსურეთის წინაშე.

მწერლებმა დაათვალიერეს ხევსურეთის ახალმშენებლობა — გუდანი, რაც ჩვენი პარტიისა და მთავრობის ხალხისთვის ზრუნვის ერთ-ერთი გამოხატულებაა.

მუსიკალური ცხოვრება

სიმფონიური ორკესტრი სეზონს ხსნის

ნატო ჟღენტი



უკანასკნელ წლებში საკონცერტო სეზონი, საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის სამხატვრო ხელმძღვანელის ჯანსულ კახიძის თაოსნობით, კონცერტების სერიით იხსნება. ეს კონცერტები მრავალფეროვანია თავისი პროგრამით — კლასიკური რეპერტუარის აღიარებულ ნიმუშებთან ერთად ისინი შეიცავენ ჩვენში ნაკლებად ცნობილ ნაწარმოებებს, ქართველ კომპოზიტორთა ახალ ქმნილებებს. ასე არის ახლაც. ანონსირებული კონცერტების პროგრამა გვპირდება სტრავინსკისა და რახმანინოვის იმ ნაწარმოებთა შესრულებას, რომლებიც თბილისში ჯერ არასოდეს არ აჟღერებულა. ტრადიციისამებრ პროგრამაში შეტანილია ქართველი ავტორის ნაწარმოებიც — ამჯერად ნიჭიერი ახალგაზრდა კომპოზიტორის ი. ზარდანაშვილის სიმფონია.

ჩვენს სიმფონიურ ორკესტრთან და საგუნდო კაპელასთან (სამხატვრო ხელმძღვანელი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გ. მუნჯიშვილი) ერთად თბილისელი მუსიკის მოყვარულნი ამ კონცერტებზე მოუსმენენ ისეთ ცნობილ კოლექტივს, როგორიცაა იურლოვის სახელობის რუსული საგუნდო კაპელა, სოლისტებს — ალექსეი მასლანიკოვს, გალინა პისარენკოს, ალექსეი ლიუბიმოვს, ვლადიმერ ვიარდოს, თენგიზ ჩაჩავას.

ამ კონცერტების პროგრამები საკმაოდ ვრცლად წარმოგვიდგენენ ჯანსულ კახიძის შემოქმედებითი და საშემსრულებლო ინტერესების ფართო სპექტრს. იგი ტიპური წარმომადგენელია მუსიკოსთა დღევანდელი თაობისა. მას ახასიათებს ფართო პლასტებით აზროვნება, დრამატურგიის განვითარების შინაგანი დინამიური ძარღვის მახვილი შეგრძნება. დირიჟორს იზიდავენ მონუმენტური სიმფონიური ფორმები — იგი ხშირად მიმართავს ბეთჰოვენის, ბერლიოზის, ჩაიკოვსკის, ვერდის, სტრავინსკის, მალერის ქმნილებებს. კახიძე მუდმივ შემოქმედებით ძიებაშია, ცდილობს სხვადასხვა ეპოქისა და სტილის ნაწარმოებთა ათვისებას, ფართო, მრავლისმომცველი რეპერტუარის შექმნას.

30 სექტემბერს კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში გამართულ სიმფონიურ კონცერტზე (რომელსაც ეძღვნება ეს წერილი) აჟღერდა XX საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი კომპოზიტორის იგორ სტრავინსკის მუსიკა, რომლის პროპაგანდაშიც დიდი ღვაწლი მიუძღვის ჯანსულ კახიძეს. საკმარისია ითქვას, რომ მისი ნიჭიერი ინტერპრეტაციით ბოლო წლებში აჟღერდა სტრავინსკის ისეთი ცნობილი ნაწარმოებები, როგორიცაა „ფასკუნჯი", „საღვთო გაზაფხული", „პულჩინელა".

ამ კონცერტზე შესრულდა სტრავინსკის სიმფონიური სუიტა „ჯარისკაცის ისტორია", კონცერტი ფორტეპიანოსა, ჩასაბერ საკრავთა და კონტრაბასებისათვის, და „ფსალმუნთა სიმფონია".

საკონცერტო პროგრამის შერჩევისას ჯანსულ კახიძე ახლაც კონკრეტული მხატვრული მიზანდასახულობით ხელმძღვანელობდა. დირიჟორის მიზანი იყო პროგრამა ისე შეედგინა, რომ მსმენელს შეძლებოდა ერთი საღამოს განმავლობაში თვალყური ედევნებინა, თუ როგორ თანდათანობით მკვიდრდებოდა კომპოზიტორის შემოქმედებაში ნეოკლასიცისტური ტენდენციები.

კონცერტის ასეთმა ორიენტაციამ საშემსრულებლო კოლექტივი რთული ამოცანის წინაშე დააყენა. როგორც ცნობილია, კომპოზიტორის ნეოკლასიკური სტილის ნაწარმოებები მკაცრი წესრიგით გამოირჩევიან, აქ ყოველი დეტალი ლოგიკურად დასაბუთებულია.

არჩეული ნაწარმოებების შესრულების სირთულე განპირობებული იყო აგრეთვე თვით საორკესტრო შემადგენლობის სპეციფიკით, ჩასაბერ საკრავთა გაზრდილი მნიშვნელობით. სიამოვნებით უნდა აღინიშნოს, რომ საშემსრულებლო კოლექტივმა კარგად გაართვა თავი ამ რთულ ამოცანას, იგი წარმოგვიდგა, როგორც მხატვრულად მომწიფებული მშვენივრად ჩამოქნილი ორგანიზმი, რომელსაც შესწევს მუზიცირების, კარგი ანსამბლურობის სათანადოდ შეხამებული ჟღერადობის უნარი.

სუიტა „ჯარისკაცის ისტორია" ფრიად ორიგინალურია როგორც დრამატურგიული თვალსაზრისით, ისევე თავისი ინტონაციური წყობით, ტემბრული პალიტრით. აქ კომპოზიტორს გამოყენებული აქვს საკრავთა საკმაოდ პორტატული ანსამბლი, რომელიც წარმოდგენილია მკვეთრი, სახასიათო ტემბრებით. ნაწარმოები დიდ ინტერესს იწვევს მუსიკალური გამომსახველობის ხერხთა თავისუფალი და მრავალფეროვანი შერჩევით, სტილიზებული საკრავების გონებამახვილური შეჯიბრით. საორკესტრო ანსამბლის მონაწილეებმა შესძლეს გადმოეცათ მუსიკის ირონიული ხასიათი, მისი გროტესკულობა, ტემპების და ტემბრების ხშირი გადართვების ეფექტი. მათი შესრულება გამოირჩეოდა სტილის ზუსტი შეგრძნებით, სწორი ფრაზირებით.

კონცერტი ფორტეპიანოს, სასულე საკრავებისა და კონტრაბასებისათვის შეასრულა საერთაშორისო კონკურსების ლაურეატმა პიანისტმა ალექსი ლიუბიმოვმა, რომელიც ცნობილია, როგორც თანამედროვე მუსიკის ერთ-ერთი ყველაზე ენერგიული პროპაგანდისტი. ლიუბიმოვის შესრულებამ ყურადღება მიიქცია დახვეწილი გემოვნებით, ანსამბლის შესანიშნავი შეგრძნებით, ტექნიკური თავისუფლებით. თანაბარი დამაჯერებლობით გაისმა როგორც მოტორულ-დინამიკური ეპიზოდები, ასევე ის ფურცლებიც, რომლის მუსიკა უშუალო ასოციაციებს იწვევს ბახისა და ჰენდელის მელოდიებთან.

დიდი ინტერესი გამოიწვია კონცერტზე მოსმენილმა „ფსალმუნთა სიმფონიამ", რომელიც სტრავინსკის შემოქმედებაში ერთ-ერთი აღიარებული და რთული ქმნილებაა. მან სერიოზული მოთხოვნილებები წაუყენა კოლექტივს, განსაკუთრებით კი გუნდს, რომელსაც არ გააჩნია არავითარი ტრადიცია სტრავინსკის მუსიკის შესრულებისა. „ფსალმუნთა სიმფონია" წარმოადგენს ნეოკლასიციზმის ტიპიურ ნიმუშს, რისი დამადასტურებელიცაა ნაწარმოების ბიბლიურ-ქრისტიანული თემატიკა, შინაარსის უნივერსალიზმი. სამნაწილიან კომპოზიციაში შეთავსებულია ასკეტური „გრიგოლისეული ქორალი" და სადიდებელი ჰიმნური ჟღერადობა, მძაფრი დრამატიზმი და კათარზისის ეპიზოდები. ნაწარმოების საორკესტრო პარტიტურა გამოირჩევა ურთულესი პოლიფონიური ქსოვილით, სადაც საგუნდო და საორკესტრო პარტიებს თანაბარი მნიშვნელობა ენიჭებათ.

შეიძლება ითქვას, რომ ეს რთული პარტიტურა წარმატებით დაძლიეს დირიჟორმა და შემსრულებლებმა.

დირიჟორმა გამოავლინა ფორმის ზუსტი შეგრძნება, დრამატურგიული კონცეფციის შექმნის უნარი. ჯანსულ კახიძის ინტერპრეტაციაში შინაგანი დრამატიზმი შეთავსებულია მკაცრ ლოგიკურობასთან. წამყვანი პარტიების რელიეფურ ჟღერადობასთან ერთად მკაფიოდ გაისმოდა გამომსახველი კონტრაპუნქტული ხმები, რამაც განსაკუთრებით იჩინა თავი ნაწარმოების მეორე ნაწილში — ურთულეს ორმაგ ფუგაში.

კონცერტმა კიდევ ერთხელ ცხადჰყო დირიჟორის ნიჭიერება და მაორგანიზებელი ნებისყოფა, ჩვენი საშემსრულებლო კოლექტივების მზადყოფნა რთული მხატვრული ამოცანის გადაწყვეტისთვის.

დიდი ინტერესით ველით ამ საკონცერტო სერიის მომდევნო საღამოებს.

„რომან-გაზეტას" ფურცლებზე

№ 17(903) 1980
РОМАН-ГАЗЕТА
НОДАР ДУМБАДЗЕ
ЗАКОН ВЕЧНОСТИ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლახან „რომან-გაზეტას" სერიით რუსულ ენაზე გამოვიდა ნოდარ დუმბაძის ცნობილი რომანი „მარადისობის კანონი".

როგორც ცნობილია, ამ ნაწარმოებისათვის ავტორს ლენინური პრემია მიენიჭა. რომანი თარგმნილია ზურაბ ახვლედიანის მიერ, დართული აქვს ა. რუდენკო-დესნიაკის წინასიტყვაობა — „დამაჯერებლობის ფასი". წიგნი გამოცემულია 2.540.000 ტირაჟით.

„ჩვენი საქართველო"...

ამ დღეებში საქართველოში იმყოფებიან ჩეხი ქართველოლოგი, მთარგმნელი ვაცლავ ჩერნი და ფოტოხელოვანი ივო პეტჟიკი. ვაცლავ ჩერნი ბევრჯერ ყოფილა საქართველოში, შემოვლილი აქვს მთელი ჩვენი ქვეყანა, კარგად იცნობს ქართველი ხალხის ისტორიას, კულტურას, ყოფას, რაც უთუოდ სასიკეთოდ მოქმედებს მისეული თარგმანების ხარისხზე. ამჯერად ვაცლავ ჩერნისა და პეტჟიკის ჩვენთან ჩამოსვლის მიზანი გახლავთ მათ მიერ ჩაფიქრებული წიგნი, რომელიც მთლიანად საქართველოს მიეძღვნება.

ჩეხი სტუმრები ჩვენი გაზეთის რედაქციაში მოვიწვიეთ. ვაცლავ ჩერნი გვესაუბრება სუფთა, თანამედროვე ქართული ენით. პირველივე შეკითხვაზე, თუ როდის ისწავლა ქართული ენა, იგი გაღიმებული, თითქმის ლექსად იძლევა პასუხს:



— მაშინ თორმეტი წლის ვიყავი, როცა დავიწყე ქართულის სწავლა... ჩემი პირველი ქართული წიგნი იყო შოთა რუსთაველის უკვდავი პოემა, რომელმაც, ეტყობა, იმდენად მომხიბლა, რომ ლაპარაკი ძველი ქართული ენით დავიწყე. დაახლოებით ასეთი იყო ჩემი ლექსიკა: „უნდა აღვიდე მეორესა სართულსა ზედა, ბიბლიოთეკასა შინა"... როცა პრაღაში იოსებ ნონეშვილს შევხვდი და გავეცანი, გულიანად იცინა ჩემი ძველი ქართულის გამო. მას მერე ვცდილობ ამ „ხარვეზის" გამოსწორებას. თანამედროვე ქართული პროზის თარგმნაც, ცხადია, დიდად მშველის.

პირველი ნაწარმოები, რომელიც ჩეხურად ვთარგმნე, იყო არჩილ სულაკაურის „ტალღები ნაპირისაკენ მიისწრაფვიან". თარგმნილი მაქვს თამაზ ჭილაძის პროზა, ოთარ ჭილაძის ლექსები და რომანი „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა", ვთარგმნე თამაზ ბიბილურის რომანს „ჟამი კითხულისა". ოთარ ჭილაძის რომანმა საკმაოდ გამაწვალა. მასში ბევრი ისეთი სიტყვა შემხვდა, ლექსიკონებში რომ ვერ ვიპოვე. უდიდესი სიამოვნებით ვთარგმნე ვაჟა-ფშაველას პოემები: „სტუმარ-მასპინძელი", „ალუდა ქეთელაური", „გველის მჭამელი". ჩემი აზრით, ვაჟა ყველაზე დიდი პოეტია საქართველოსი. მე მინდა სწორად გამიგოთ: შოთა რუსთაველი უფრო ზოგადკაცობრიული, უფრო მსოფლიო მოვლენაა, ხოლო ვაჟას პოეზიაში სუფთა ქართული სული ჭარბობს, ევროპელ მკითხველს უფრო დიდ ინფორმაციას აძლევს ქართველი ხალხის ხასიათის, მისი ფსიქოლოგიის, მისი ყოფის შესახებ... ხოლო პირველი პოეტი, ვინც თავის პოეზიაში ევროპას ფართოდ გაუღო კარი, დავით გურამიშვილია. ჩვენ გვაქვს იაროსლავ საიფერტის მიერ შესრულებული „დავითიანის" ბრწყინვალე თარგმანი...

— ცნობილია, თარგმნა კულტურათა ურთიერთგაცვლისა და გამდიდრების ერთ-ერთი მთავარი საშუალებაა. რამდენად ბუნებრივად ერწყმის თანამედროვე ჩეხური ლიტერატურის მდინარებას ქართული პროზის ნიმუშები? როგორ ღებულობს მას ჩეხი მკითხველი?

— ქართული ლიტერატურა ერთ-ერთი უძველესია და, ბუნებრივია, მისი დიდი ტრადიციები თავისებურ გაგრძელებას პოულობს დღევანდელ მწერლობაში. ქართული მოთხრობის, ქართული რომანის დონე დღეს იმდენად მაღალია, ისეთი საინტერესო ძიებები ხდება, რომ მისი თარგმნა სასურველია ყოველი ხალხის ენაზე.

— ბატონო ვაცლავ, თანამედროვე ქართველ პოეტთაგან ვისი ლექსების თარგმნა გაქვთ განზრახული?

— მე პროზაიკოსი ვარ და ძირითადად პროზას ვთარგმნი. პოეზიის თარგმნა უფრო რთული საქმეა. ვთარგმნი, რაც განსაკუთრებით დამაინტერესებს. ამ ბოლო დროს ბესიკ ხარანაულის ლექსების თარგმანზე ვმუშაობ.

— როგორც ვიცით, ამჯერად თქვენი საკუთარი წიგნის დასაწერად ჩამობრძანდით საქართველოში. გთხოვთ ორიოდე სიტყვით გვითხრათ, როგორი იქნება ამ წიგნის სტრუქტურა, ხასიათი?

— როგორ გითხრათ, წიგნი ჯერ დაწერილი არაა და მის საბოლოო სახეზეც ჯერ ვერაფერს მოგახსენებთ. ეს იქნება ჩემი და ივო პეტჟიკის საერთო წიგნი. ივო ცნობილი ფოტოხელოვანია, მისი ნამუშევრების გამოფენა მოეწყო გერმანიაში, ეგვიპტეში, ბულგარეთში, და, ცხადია, ჩეხოსლოვაკიაში. ივო ძალიან ბევრს მოგზაურობს. საქართველოშიც მეხუთედ არის და ფოტოების მთელი სერია აქვს ქართულ თემებზე გადაღებული. ერთხელ ივომ თავისი „ქართული" ფოტოები გამომცემლობაში მოიტანა. როგორც ქართველოლოგს, მე დამიძახეს, რათა ამ ფოტოებისთვის შესაფერი კომენტარები გამეკეთებინა... ივოც იქ გავიცანი და წიგნის იდეაც საბოლოოდ ასე დაიბადა. მე ისტორიული ნარკვევის დაწერას არ ვაპირებ, არც მაქვს ამის პრეტენზია. ეს იქნება ჩემი თვალით, ჩვენი თვალით, ჩემი და ივოს თვალით დანახული საქართველო.

— ბატონო ივო, რას დაუმატებდით ვაცლავის ნათქვამს?

— როგორც ითქვა, მეხუთედ ვარ საქართველოში. პირველად ინდოეთში მივდიოდით ავტომობილით. ქუთაისში მანქანა გაგვიფუჭდა და ამ იძულებითი შეჩერებისას გავიცანი ქუთაისელი ინჟინერი რეზო ჭეიშვილი და მისი ოჯახი. დავმეგობრდით და მომავალი ოთხი ჩამოსვლა უკვე საკუთარი ინიციატივით, ყოველგვარი მივლინების გარეშე მოხდა. სამი კვირაა, აქ ვართ და სამი ათასზე მეტი კილომეტრი გავიარეთ უკვე: მოვიარეთ კახეთი, ქართლი, მესხეთი, სვანეთი. წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა სვანეთის და, კერძოდ, უშგულის ხილვამ. მთები ჩემთვის უცხო ხილი არაა, მოვლილი მაქვს პამირი, ჰიმალაი, მაგრამ სვანეთი მაინც სხვაა. ზვიადი მთების სიდიადეს საოცრად ერწყმის ხალხის ყოფა, მისი ხასიათი... ზვიადი საგვარეულო კოშკები, ჩემი აზრით, მსოფლიო უნიკალური მოვლენაა. ცივილიზაცია ახლა სვანეთშიც ძალუმადაა შეჭრილი და ბევრი რამ, საოცრად საინტერესო და მიმზიდველი, მალე ალბათ აღარ იქნება. ამიტომ უნდა ვეცადოთ და უახლოეს წლებში კიდევ ვესტუმროთ სვანეთს. არა მარტო მთებისა და კოშკების, არამედ ხალხის გადასაღებად. საოცრად მხიბლავს ქართველი ხალხის მოსიყვარულე ბუნება. თქვენს სტუმართმოყვარეობაზე ბევრი თქმულა და ახალს ვერაფერს დავუმატებ. ჩეხოსლოვაკია ციხე-კოშკების ქვეყანაა. ჩვენ გვიყვარს ჩვენი წარსული, მისი კულტურის ძეგლები. ვერც ვიფიქრებდი, თუ საქართველოში ამდენი ციხე და ეკლესია-მონასტერი იქნებოდა, თანაც ბევრი ჩვენსაზე უხნესი. ამიტომ ვცდილობ ყველაფერი ეს ფირზე აღვბეჭდო, ვცდილობ როგორმე ფოტოებში შევინარჩუნო ბუნებისა და ხელოვნების ძეგლთა ის საოცარი ჰარმონია, აქ რომ ყოველ ნაბიჯზე გვხვდება...

ივოს აღტაცებული საუბარი კარის მორიდებულმა ჭრიალმა შეაწყვეტინა. ოთახში ოთარ ჩხეიძე შემოდის. იღლიაში თავისი ახალი წიგნის „ჩემი სოფლის ეტიუდების" სასიგნალო ცალები აქვს. სტუმრებს ვაცნობთ. ოთარ ჩხეიძის ხსენებაზე ვაცლავ ჩერნი, გაბადრული, ხელმეორედ ართმევს ხელს:

— ბატონო ოთარ, თქვენი პროზის თარგმნას კი ნამდვილად არ ეყოფა ჩემი ქართულის მარაგი... — იცინის იგი და თვალი წიგნებისაკენ გაურბის. ბატონი ოთარი ჩვენთვის მოტანილ წიგნებს ჩეხ სტუმრებს უძღვნის.

გულითად საუბარში დრო მალე გაპარულა. ივო საათს დასცქერის. ხუთი საათისათვის ტელევიზიაში არიან მისასვლელი. მივლინების ვადა უკვე ამოწურულა და ათასი საქმე აქვთ მოსასწრებ-გადასაწყვეტი. უმთავრესი კი გაკეთებულია. გაკვალულია მეგობრობის, ურთიერთობის ძვირფასი გზები.

ეს გზები კიდევ ბევრჯერ მოიყვანს მათ ჩვენთან და მაშინ ალბათ უკვე ხელთ ექნებათ საქართველოზე დაწერილი წიგნიც როგორც ამ მეგობრობისა და სიყვარულის დასტური.

ლიტერატურული ჟურნალის ფურცლებზე

ამქვეყნიური ზრუნვა და სიხარული

მაშ ასე, ყველა უსიამოვნო განცდას, რომელიც წილად ხვდათ ახალგაზრდა მეცნიერს ნოდარ გელოვანს და მის ახლობლებს, ჰქონია თავისი სათავე — „აქტიური მზე"?! არა, ღმერთმანი, ეს ძალზე მარტივი ახსნაა... გაცილებით უფრო მეტი საფუძველი გვაქვს ვილაპარაკოთ „მშვიდი", უფრო ზუსტად — ჩვეულებრივი დედამიწის „წელიწადზე" — და განა ერთ წელიწადზე?!

მართლაც, აქტიურობა და ჩვეულებრივობა სრულიადაც არ გახლავთ ურთიერთგამომრიცხველი, ურთიერთდაპირისპირებული მდგომარეობანი. განა რა დიდი ხანია მას შემდეგ, რაც პოეტები, პროზაიკოსები, კრიტიკოსები ათასნაირ ყაიდაზე წარმოთქვამდნენ ბლოკის ცნობილ სტრიქონებს, რომ „სიმშვიდეს მხოლოდ სიზმრადა ვხედავთ", რომ სიმშვიდესმოკლებული ყოფა გახდა კაცობრიობის მუდმივი, უცვლელი მდგომარეობა. მერე გონს მოეგნენ: როგორც ჩანს, ეუხერხულათ კვლავ და კვლავ ვარირება დიდი პოეტის სიტყვებისა. მაგრამ რა! — ფრაზეოლოგია აღარ არის, სულიერი მდგომარეობა კი დარჩა. და საზრისიანი პროზაიკოსი წარმოთქვამს ეშმაკურ, იგავურ ფრაზას, რომელიც სავსებით მართებულია მთავარი გმირის ბაგისათვის, რადგან იგი პროფესიით ფიზიკოსია და გამუდმებით უხდება აქტიური მზის პრობლემების გადაწყვეტა.

მაგრამ აი სწორედ აქ ერთბაშადვე უნდა გავაკეთოთ ფრიად არსებითი შენიშვნა. გურამ ფანჯიკიძის ახალ რომანში წამდაუწუმ ლაპარაკია მეზონზე, პროტონზე, ნეიტრონზე. ოღონდ სინამდვილეში ეს მეცნიერული ტერმინოლოგია აღმოჩნდება მარტოოდენ თავისებური გრიმი, კოსტუმი, რომელიც ჰფარავს სულ სხვა საფუძველს, სხვა არსს — ადამიანურ ვნებებს, განცდებს, მისწრაფებებს, აღტკინებებს.

ეჭვი არ არის, რომ პროფესიულ პრობლემებს, რომლებსაც ხშირად მიმართავენ რომანის გმირი-მთხრობელიც და მისი კოლეგებიც, თანამშრომლებიც, სინამდვილეში ნაწარმოების სახოვან ლოგიკაში არამთავარი, თანმხლები მნიშვნელობა აქვთ... რომანის ფურცლებზეც ეს მრავალგზის ითქმის მნიშვნელოვან მოქმედ პირთა ბაგით.

მოხუცი აკადემიკოსი ლევან გზირიშვილი, — შეიძლება ითქვას, ნოდარ გელოვანის მოძღვარი, — სანქნელო გულახდილი საუბრისას ცოტა ხნით ადრე, ვიდრე სიცოცხლეს დაუტევებდეს, ეუბნება თავის მოსაუბრეს, რომელიც, როგორც ჩანს, უყვარს და რომელსაც მისი ნდობაც დაუმსახურებია: „...თან სევდიანი, გულჩათხრობილი კაცი ხარ. ტოლებში, ვფიქრობ, ყველაზე უფრო მაინც შენ გაწუხებს შენი პიროვნება, ყველაზე უფრო შენ ცდილობ ჩაიხედო საკუთარ სულსა და არსებაში. თავიდანვე გატყობდი, რაღაც იდუმალი სევდა გიღრღნიდა და ახლაც გიღრღნის გულს. ეს არ იყო ექსპერიმენტატორი ფიზიკოსის გზასაცდენილი ცდებით გაცრუებული იმედების სევდა. შენ ადამიანის სულის საიდუმლო უფრო გაინტერესებს, ვიდრე მძიმე პროტონები და მეზონები".

აი სიტყვები, რომლებიც შეგვიძლია ამხსნელ სიტყვებად მივიჩნიოთ მთავარი გმირის დახასიათებისათვისაც და რომანის საერთო აგებულებისათვისაც.

კარგა დრო გავა ამ საალსარებო საუბრის შემდეგ, და ნოდარ გელოვანს (უკვე მეთორმეტე თავში!) გულისტკივილით ახსენდება აკადემიკოსის სიტყვები, მისი ორჭოფობის, მისი ბედ-იღბლის სირთულე რომ აუხსნეს. სიტყვასიტყვით მეორდება ფორმულა მისი სულიერი ცხოვრებისა, ფორმულა ვნებებისა, ორჭოფობისა და იმედებისა... „...თან სევდიანი, გულჩათხრობილი კაცი ხარ. ტოლებში, ვფიქრობ, ყველაზე უფრო მაინც შენ გაწუხებს შენი პიროვნება, ყველაზე უფრო შენ ცდილობ ჩაიხედო საკუთარ სულსა და არსებაში. თავიდანვე გატყობდი, რაღაც იდუმალი სევდა გიღრღნიდა და ახლაც გიღრღნის გულს. ეს არ იყო ექსპერიმენტატორი ფიზიკოსის გზასაცდენილი ცდებით გაცრუებული იმედების სევდა. შენ ადამიანის სულის საიდუმლო უფრო გაინტერესებს, ვიდრე მძიმე პროტონები და მეზონები".

ამ სიტყვასიტყვით განმეორების შემდეგ უკვე შეუძლებელია რაიმე დაეჭვება რომანის გამჭოლი კონფლიქტების დახასიათებაში. დიახ, რაღა თქმა უნდა, ნოდარ გელოვანი უნდა განვსაჯოთ არა მისი მეცნიერების კანონებით, არამედ ზნეობრივი, საზოგადოებრივი, ადამიანური კანონებით, რომლებიც ასე ახლოს მიაქვს გულთან, ასე დაძაბულად ასწონ-დასწონის და განიცდის.

თანატოლთა შორისაც, იმავ ძნელ საქმეს რომ შესჭიდებიან, სისხლით ახლობელ ადამიანთა შორისაც, ნოდარ გელოვანი უდავოდ გამოირჩევა მოჭარბებული გრძნობიერებით, იგი ვერ ურიგდება ვერავითარ სიბინძურეს, არავითარ მორალურ კომპრომისზე არ მიდის. სწორედ ასე „ამოიკითხება" და აღიქმება ეს ერთი შეხედვით წინააღმდეგობრივი, სინამდვილეში კი მთლიანი, თანმიმდევრული ხასიათი. დიახ, იგი გესლიანია, ხშირად ჭინჭულიცაა ყოველდღიურ ურთიერთობაში, მაგრამ ამავე დროს პირდაპირი, გულმართალი, საიმედო და შეუპოვარია მისთვის ძვირფასი პრინციპების დაცვაში.

ასეთია, ყოველ შემთხვევაში, საერთო შთაბეჭდილება, ნოდარი რომ ახდენს. თხრობა წარმოებს პირველი პირით, მისი სახელით, ამიტომ მკითხველს შესაძლებლობა აქვს თვალი მიადევნოს ყოველგვარ მერყეობას, მის სულში რომ ხდება, იმას, თუ ზოგჯერ რა ჯიუტად ებრძვის თავის თავს, ვიდრე მტკიცედ დადგებოდეს ჭეშმარიტების დაცვის პოზიციებზე. რაკილა გვესმის, თუ რაოდენ დაძაბულია ეს შინაგანი ბრძოლა, ღირსეულადაც შევაფასოთ მისი საბოლოო შედეგი, მისი სიჯიუტე და შეუპოვრობა!

და ამავ დროს ვიფიქროთ ნოდარის მოკავშირეებზეც, თანამოაზრეებზეც, რომელთაც იგი, სამწუხაროდ, ყოველთვის როდი ამხნევებს კეთილი სიტყვითა და საქციელით, მარტოოდენ თანაგრძნობით იხსენიებს მათს პოზიციას. ასეთი გახლავთ უწინარეს ყოვლისა ნოდარის ღვიძლი ძმა, გულმხურვალე, გაბედული რეზო. იგი იუსტიციის მუშაკია, პროკურორია, და, როგორც ჩანს, ეს პროფესია სწორად ამოურჩევია — შეეფერება მის ხასიათს, სამართლიანობისათვის თავგამოდების შნოსა და სურვილს.

. საკმარისია ითქვას, რომ რეზოს, რომელმაც გადაწყვიტა კვლავ აღძრას სამ წელზე მეტი ხნის წინათ არქივში გადაბარებული ერთი საეჭვო საქმე, გაცილებით უფრო მეტი უსიამოვნებანი მოელის, ვიდრე შეიძლება მოელოდეს ნოდარს თავის სამეცნიერო ძიებებში. ამას მოწმობს ისიც, თუ რა დაჟინებით ცდილობენ უარი ათქმევინონ ამ საქმის გადახედვაზე მისივე ახლობლები — საკუთარი მამა და უფროსი ძმა ვახტანგი, რომელსაც თავისი კარიერის დარდი აქვს.

დიახ, ერთ ჭერქვეშ შეყრილან სისხლის ნათესაობით დაკავშირებული ადამიანები, რომლებიც სრულიად უცხონი არიან ერთმანეთისათვის, და მათი სხვადასხვაგვარობა ისე თვალსაჩინოა, რომ ამ დავის დროს წარმოთქმული ყოველი სიტყვა მკაფიოდ, უკმეხად გაისმის და აშიშვლებს დაპირისპირებულ შეხედულებათა არსს.

„— შენ მაინც რატომ გაჩუმებულხარ? — მომიბრუნდა უცებ უფროსი ძმა, — არ გეკადრება, ორი სიტყვა შეგვაწყო?

— რატომ გგონია, რომ შენს მხარეს დავიჭერ? — ვამბობ სავსებით წყნარად.

— ბოდიშს ვიხდი, დამავიწყდა, რომ თქვენ დიდი მეცნიერი ბრძანდებით და ასეთი მიწიერი, ცხოვრებისეული საკითხების მოსაგვარებლად გონებას არ ღლით.

— ამჯერად მიპატიებია ეგ ირონია, — ვამბობ ისევ დინჯად.

— ეს ირონია არაა, ეს გამწარებული კაცის სიტყვებია. როგორ არ გინდათ გამიგოთ, ამ ერთი მივიწყებული საქმის გამოქექვით გავლენიან მტრებს მარტო თვითონ კი არ იძენს, მეც მიჭრის გზებს...

— მე მხოლოდ ერთი კრიტერიუმი მაქვს ცხოვრებაში — სიმართლე! — აწყვეტინებს რეზო.

— მერედა ვის უნდა ეგ შენი სიმართლე! — აფეთქდა მამაჩემი და ვხედავ, აკანკალებული ყბა მარცხნივ როგორ გაექცა. — სიმართლე ადამიანს მანამ უნდა, სანამ თვითონაა გაჭირვებული და დაჩაგრული. როგორც კი წელს მოიმაგრებს, მოღონიერდება და მომძლავრდება, თვითონ ხდება პირველი უსამართლო".

და ამას მოსდევს შესაბამისი „საყოველთაოდ ცნობილი შეხედულებანი" ობივატელისა, უხამსობასა და ცინიზმამდე რომ მისულა. ვაგლახ, ამ შეხედულებებს ქადაგებს პატიოსანი შვილების — ნოდარისა და რეზოს მამა, რომელსაც ტყუილად კი არ მოუმზადებია თავისთვის „ღირსეული", „მასშტაბური" გამგრძელებელი ვახტანგის სახით, რომელმაც ცხოვრებაში წარმატებებს მიაღწია! სინამდვილეში ოჯახი გათიშულია ორად, არა, სამად, რადგან გარკვეულ დრომდე არსებობდა კიდევ ყველაზე უმცროსი ძმა გოგი, რომელსაც არ სცნობდნენ, ცალკე, განდგომილად ცხოვრობდა და ბოლოს, როგორც მეზობლის დედაკაცმა თქვა, „დოზა შეეშალა" და — მიწას მიაბარეს... ეს სევდიანი ამბავი თითქოს სახხვათაშორისოდაა მოთხრობილი, მაგრამ ნათელ წარმოდგენას გვაძლევს იმაზე, თუ რა სავსებით დაიშალა ოჯახური კავშირი და დაირღვა სახლი; იმ სიმძიმეზე, დამატებით რომ დააწვა ნოდარისა და რეზოს კეთილშობილ სულს, რომელთაც არ სურთ დაემორჩილონ მშობლის უბადრუკ, ანგარებიან „მორალს".

აი აქ ირკვევა, რომ ამ კარგ ძმებს გელოვანებს ჰყავთ კიდევ ერთი ფრიად ენერგიული და მტკიცე მოკავშირე... ეს გახლავთ ნოდარის სატრფო — მომხიბვლელი ეკა. მას გადაუშლის გულს ნოდარი უკიდურესი დაუფარავობით, — იქნებ უკიდურესზე მეტითაც! — ჰკიცხავს არა მარტო ირგვლივ მყოფთ, არამედ საკუთარ თავსაც, რადგან ფიქრობს, რომ თვითონ ძალზე პასიურად, ძალზე შემრიგებლურად იქცევა: „მე სუსტი და ემოციური ადამიანი ვარ. არ შემიძლია ისე ცხოვრება, როგორც სხვები ცხოვრობენ. მაგიჟებს და მაცოფებს, ირგვლივ რომ გესლიანი და შურიანი ადამიანები მახვევიან. ვერ ვიტან სიცრუეს და სიყალბეს, ვერ ვიტან ფარისევლობასა და პირმოთნეობას, ვერ ვიტან ბოროტებასა და კაცისმკვლელებს. ცხოვრება ჩემთვის მხოლოდ სასოწარკვეთა და იმედის გაცრუებაა, მე, მე თვითონ ვინ ვარ, როგორ ვცხოვრობ, როგორ ვეგუები ჩემს ირგვლივ გამეფებულ უმსგავსოებას, როგორ ვებრძვი ნაძირალებს და ეგოისტებს, დღენიადაგ პირზე რომ ჰუმანიზმი, კაცთმოყვარეობა და პატრიოტიზმი აკერიათ?"

ესაა ნამდვილი აფეთქება თვითგმობისა, თვითმხილებისა.

როგორც ვხედავთ, ნოდარი არც საკუთარ თავს ეპყრობა შემწყნარებლურად! იგი ნამდვილი პროკურორივით ლაპარაკობს სხვებზეც და საკუთარ თავზეც, იოტისოდენა შემწყნარებლობაც კი არა აქვს.

ამაშია მისი პიროვნების ორიგინალობა, მისი თავისებურება.

და რა უცნაურიც არ უნდა ჩანდეს, ასეთ ადამიანს სრულიად ვერ გაუგია და ვერ დაუნახავს საყვარელი ქალის კეთილი თვისებანი.

რომანისტი უკეთ იცნობს ეკას, ვიდრე რომანის გმირი. ამის დამადასტურებელია ის ფურცლები, სადაც აღწერილია ყმაწვილი ქალის დამოკიდებულება მშობლებთან, უფრო ზუსტად — მათს ოჯახში შექმნილი სიყალბისა და თვალთმაქცობის ატმოსფერო. ზოგიერთი ნიშნის მიხედვით, ეკას მამა და დედა კარგა ხანია უცხონი გამხდარან ერთმანეთისათვის, მაგრამ „წესიერების გულისათვის" იცავენ ობივატელურ წრეში მიღებულ ყოველგვარ პირობითობას. და, მაინც, ისინი ბედავენ უსაყვედურონ ეკას უზნეობა, თუმცა სინამდვილეში სწორედ ეკაა, თავის გრძნობებს აყოლილი რომ ცხოვრობს.

მართალია, თითქოს ახდა მშობლების ავბედითი წინასწარმეტყველება: სხვა ქალიშვილით — თვალწარმტაცი ნანა ჯანდიერით გატაცებული ნოდარი ტოვებს ეკას. ნოდარს ჰგონია, რომ მოხდა ის, რასაც თვითონაც და ეკაც დიდი ხანია ელოდნენ: „იგი ბედნიერი და მხიარულია სხვასთან". მოსკოვის კაფეში ერთმანეთს ხვდება ორი ახალგაზრდა წყვილი, ისინი მხიარულები არიან და თითქოს არაფერი იციან ერთმანეთისა, არაფერი იციან ძველი და ეს-ეს არის ახლახან გაწყვეტილი ურთიერთობებისა... მაგრამ საქმე არც ისე უბრალოდაა — ჩვენს წინაშე ხომ, არსებითად, სრულიადაც არ არიან ქარაფშუტანი, „სიყვარულობანას" უპასუხისმგებლო „მოთამაშენი". უნდოდათ ასეთნი ყოფილიყვნენ, მაგრამ, საბედნიეროდ, ვერ შესძლეს! ნანა მიხვდა, რა ურთიერთობანი აერთებდათ (უფრო სწორად აერთებთ კიდევაც) ნოდარსა და ეკას, უარი თქვა ნოდართან შემდგომ შეხვედრებზე და გულწრფელად უსურვა მას ბედნიერება. ეკამ ვერ შესძლო დაემალა თავისი ზრუნვა ნოდარზე, ზრუნვა, რომელიც განუყოფელია მყარი და ნამდვილი სიყვარულისაგან. ხოლო, რაც მთავარია, თვითონ ნოდარი მიხვდა, რომ კვლავ უყვარს ის, ვინც ძვირფასი და საჭირო იყო მისი ცხოვრების ყველაზე უფრო კრიტიკულ წუთებში.

საკუთარ გრძნობათა დაუნდობელი აწონ-დაწონისკენ მიდრეკილება აქაც იჩენს თავს: ნოდარი შეამოწმებს თავის შეგრძნებებსა და სწრაფვებს და მიდის დასკვნამდე, რომლის ჭეშმარიტებაში ეჭვი აღარ ეპარება — რომ უყვარს ეკა, მხოლოდ ეკა და მეტი არავინ!

სიტყვებიც და შეგრძნებებიც — ტემპერამენტიანი, გულმხურვალე, შეუფერხებელია... დიახ, ასეთი გახლავთ ნოდარ გელოვანი.

ბევრს რამ შევიტყვეთ მის შესახებ, მის ირგვლივ მყოფ ადამიანთა შესახებ, რადგან ზოგ მათგანს თითქოსდა ორნაირი განათება აქვს — შიგნითა, რომელიც ნათელჰყოფს მის გულის წადილს, იმედს, სახოვნებს, და გარეთა — ის, რომელიც მისაწვდომი და გასაგებია ყოველი გონებაგამჭრიახი ადამიანისათვის. სწორედ ამ ორი მხარის დაპირისპირება, თითქოს ფენებად რომ ეწყობა ერთიმეორეზე, იძლევა საუკეთესო შედეგს, ყველაზე უფრო გამომსახველ, შთამბეჭდავ დახასიათებას!

ეს ეხება უწინარეს ყოვლისა თვით ნოდარს, ეკას, რეზოს, გელოვანთა ოჯახის სხვა მამაკაცებს. გურამ ფანჯიკიძის პირველ რომანებს, განსაკუთრებით მის „მშვიდე ცას" რომ ვიხსენებთ, ვრწმუნდებით, რომ მწერალი ადრინდელი შეუწყნარებლობით ადევნებს თვალს, თუ რა დამღუპველ ზეგავლენას ახდენს ანგარიშიანი კარიერიზმი, რომელსაც შეუძლია დაღუპოს, გარყვნას ყოველგვარი ნიჭიერება; მაგრამ ახალი, გაზრდილი შორსმჭვრეტელობით ადასტურებს, რომ გენია და ავსულობა (რარიგ მოკრძალებული და დაუცველიც არ უნდა იყოს ზოგჯერ გენია და რარიგ წვრილმანი, გაქნილი, გაიძვერაც არ უნდა იყოს ავსულობა!) ორი შეუთავსებელი რამაა, რადგან თვით თავიანთი ადამიანური და სოციალური ბუნებით სხვადასხვაგვარია...

აქ არ დაგვისახელებია რომანის ყველა მოქმედი პირი იმათგან, ვინც ნოდარ გელოვანს შეხვდა ცხოვრების გზაზე და ვინც მან გაიზიარა, შეაფასა, ჭკუასა და გულში გაატარა. არადა ასეთები ცოტანი როდი აღმოჩნდნენ, და მათ შორის არიან საინტერესო, ზოგ შემთხვევაში პატივსაცემი, ზოგჯერ კი უარყოფითი და ზიზღის ღირსი ადამიანები, წარუშლელი კვალი რომ დატოვეს ნოდარის, ხოლო საბოლოოდ — მკითხველის მეხსიერებასა და შეგნებაში.

აი ლევან გზირიშვილი თავისი ტრაგედიით, რომელიც მან თვითონვე დაახასიათა მკაფიოდ და ამომწურავად, როდესაც თავის მოწაფეს ნოდარს მისცა შეუბრალებლად მამხილებელი (თავისი თავისთვის) შეკითხვა: „თქვენ ალბათ გინდათ თქვათ, ჩემს მცდარ გამოკვლევებს, რამდენიმე წლის ცრუ ზეიმი და ცრუ დიდება რომ მოიტანა, არა?!". და უარს ამბობს ამ „ცრუ დიდებაზე", ამჯობინებს სულაც არ იარსებოს, ოღონდ კი იმ „ცრუ დიდებით" არ ისარგებლოს...

ნოდარს ესმის ამ დრამის სიმწვავე. მერე, როდესაც გამომძიებელს უხსნის მომხდარის არსს, იგი იტყვის იმასვე, რასაც იტყოდა თვით აკადემიკოსი: „გგონია, მიაგენი სამყაროს აღნაგობის ურთულეს სტრუქტურას, გგონია, ფარდა ახადე საოცარ საიდუმლოს, მთელმა მსოფლიომ ყურადღებით მოგაპყრო თვალი, და უცებ ხელში შეგრჩა მხოლოდ მირაჟი..."

სწორედ ამ დროს კი — ტრაგედია ფარსად იქცევა — უტიფარი გაიძვერა, უზრდელი და გაქნილი ზურაბ გოდართელი გამოდის სცენაზე, რადგან იმედოვნებს, რომ ჩაჯდება დირექტორის დაცარიელებულ სავარძელში, და ცდილობს მოკავშირედ გაიხადოს ნოდარი. თუმცა, კაცმა რომ თქვას, ეს ტიპი იმდენად არარაა, შეუძლებელიცაა მისი სერიოზულად მიღება; უბრალოდ — ესაა კიდევ ერთი შესაზიზღი ფიგურა, ნოდარის იპოქონდრიას რომ აღრმავებს.

ან კიდევ ერთი ფიზიკოსი, აგრეთვე რომ გამოთქვამს თავის აზრს მომავალ ხელმძღვანელზე, — გულცივი, წინდახედული „ტექნოკრატი" მამუკა გორდაძე, უფრო რთული ადამიანი და მოღვაწე. მისი აზრით, „დღიდან ყველა დანარჩენი საუკუნე ეკუთვნის ფიზიკას!". რას პასუხობს ნოდარი? იგი შეახსენებს, რომ „რუსთაველი სწავლობს ადამიანის სულს, ადამიანის სულს კი საზღვრები არა აქვს, იგი უსაზღვროა". და კიდევ: „ადამიანს სიხარული სჭირდება, სიმშვიდე და სიყვარული სჭირდება".

ასე, გადასხვაფერებული სახით, კვლავ ჩნდება თემა ადამიანის სულის პატიოსნებისა, თემა ზნეობრივი საზოგადოებრივი ქცევის ღრმად გაგებისა...

ეს თემაა გაბატონებული რომანში, მსჭვალავს მის ქსოვილს. აღმოცენდება—როგორც გვქონდა შემთხვევა / დავრწმუნებულიყავით — მოქმედ პირთა ხასიათებში, კოლიზიებში, ერთმანეთს რომ ენაცვლებიან, უმცირეს ეპიზოდებში, ყოფით ჩანახატებში, დავა-კამათში, ყოველ ნაბიჯზე რომ იფეთქებს ხოლმე და სხვადასხვა — ეთიკურ, სამეცნიერო, საყოველდღეო საკითხებს რომ ეხება...

დიახ, რომანი ტოვებს ზედმიწევნით გამსჭვალული თხრობის შეგრძნებას, თხრობისა, სადაც ზოგი ეპიზოდი სრულ დაგვირგვინებას პოულობს, ზოგი კი თითქოს „იკარგება", „ფერმკრთალდება", ანაზდად ქრება... მაგრამ ამ მოჩვენებით [illegible] და გაწყვეტიაში მკაფიოდ გამოიკვეთება ცენტრალური ხასიათის მთლიანობა და კეთილშობილება. იგი გულმიმნდობია და გულღია, შეურიგებელი და მომთხოვნი მოყვასთა მიმართაც და საკუთარი თავის მიმართაც. და ეს მეწნებარება ძვირად ფასობს! აკი ჯერაც ბოლომდე არ გახსნილა გმირის კარგი მოქალაქეობრივი თვისებებიც, იგი ერთიანად მოძრაობაში, დადგინებაში, თვითაღზრდაში, განუწყვეტელ ზრდაშია. დაე ძნელი, ზოგჯერ მტანჯველიც კი იყოს. იმიტომაცაა ეს წელიწადი, — არა, წლები, — აქტიური მზისა, მოქმედი დედამიწისა, დაუცხრომელი კაცობრიობისა.

ი. გრინბერგი

„დრუჟბა ნაროდოვ", 1980, № 6.

საზღვარგარეთის კულტურული ცხოვრება

ინდიელები თავიანთი თავის შესახებ

ბრაზილიის მკვიდრ მცხოვრებთა ტრაგიკული ბედის ღრმა და მართალი გამოკვლევა მოახდინა ახალგაზრდა კინორეჟისორმა ზ. ვიანამ, რომელმაც გადაიღო სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი — „ინდიელთა მიწა".

წამოჭრის რა ერთ-ერთ უმწვავეს სოციალურ პრობლემას, რეჟისორი სიტყვას აძლევს ლათინური ამერიკის უდიდესი ქვეყნის ყოფილ პატრონებს. მოხუცი ინდიელი ქალისა და ასევე მოხუცი მეომრის — ერთ დროს მრავალრიცხოვანი, ამჟამად კი გადაშენების პირას მისული ტომის უკანასკნელი წარმომადგენლების უბრალო აღსარება ტრაგიზმითაა სავსე. ფილმი დოკუმენტის ენით მოგვითხრობს, თუ რა ყაჩაღურად მიერეკებიან ინდიელებს მემამულეები, ადგილობრივი და უცხოელი მონოპოლისტები; როგორ ბატონდება უცხო კულტურა და ჰქრება ინდიელთა თვითმყოფადი ხელოვნება და ზნეჩვეულებანი.

კრიტიკოსთა აზრით, ზ. ვიანას ახალი ფილმი პირველი ნამდვილი წარმატებაა ამ სასიცოცხლო თემის სერიოზული გახსნა-ჩვენების საქმეში.

„ანა კარენინა" ინგლისის ტელევიზიაში

ინგლისელმა რეჟისორმა დონალდ უილსონმა, რომელსაც საბჭოთა მაყურებელი იცნობს, როგორც მრავალსერიიანი სატელევიზიო ფილმის „ფორსაიტების საგას" ავტორს, შექმნა სატელევიზიო ათსერიიანი ფილმი „ანა კარენინა", მიძღვნილი ლევ ტოლსტოის იუბილესადმი.

ფილმის გადაღება მიმდინარეობდა ინგლისსა და უნგრეთში. ანას როლი წარმატებით ითამაშა ნიკოლ პაჯიტმა.

დიკენსი ლონდონის სცენაზე

ამას წინათ ლონდონის თეატრმა „ოლდუიკმა" მაყურებელს აჩვენა ინსცენირება ჩარლზ დიკენსის რომანის „ნიკოლას ნიკლბისა", რომლის დადგმა ეკუთვნის „როიალ შექსპირ კომპანის". კრიტიკოსთა აზრით, ესაა ინგლისის თეატრალური ხელოვნების ერთ-ერთი ყველაზე დიდი წარმატება ამ ბოლო წლებში. ინსცენირების ავტორმა დევიდ ედგარმა შესძლო შეენარჩუნებინა დიკენსის ტექსტის განუმეორებელი მომხიბვლელობა, მისი დიალოგების გონებამახვილობა, ეჩვენებინა ბრიტანული საზოგადოების სატირული სურათი — ქალაქის მდაბიოთა უბადრუკი ყოფა, ბავშვთა შეუბრალებელი აღზრდა იორკშირის სკოლებში, პარლამენტარიების გამყიდველობა და ცინიზმი.

ინსცენირება (რეჟისორები ტრევორ ნანი და ჯონ კეირდი) რვასაათნახევარს გრძელდება, მაგრამ, როგორც აღნიშნავს ყოველკვირეული „ობსერვერი", მთელი ამ ხნის მანძილზე დიკენსს უფრო სრული და „თეატრალიზებული" ურთიერთობა აქვს მაყურებელთან, ვიდრე ბევრ სხვა დრამატურგს. შექსპირის გარდა არავის არ შეუქმნია ასეთი ძლიერი ხასიათები, ასეთი მწვავე დიალოგები. ნიკოლას ნიკლბის თამაშობს როჯერს რისი, მის და — კეიტს — სიუზენ ლითერი, რალფ ნიკლბის — ჯონ ვუდვაინი, სკვირსს — ბენ კინგსლი, ხოლო სმაიკს — დევიდ ტრელფოლი.

დიდი პოეტის საიუბილეოდ

დავით გურამიშვილი

შენიშვნები და პარალელები

სარგის ცაიშვილი

3. სახით სიტყვა შვენიერო, სხიო მზეთა-მზის სახეო...

„პოეზიისათვის განსაკუთრებით ძვირფასია, წარსული“ — ვალერიან გაფრინდაშვილის ეს სიტყვები მოთავსებულია წერილში, რომელიც მან დავით გურამიშვილს მიუძღვნა („მეოცნებე ნიამორები“, 1920, IV). „დავითიანი“ მართლაც, გარდასულ დღეთა აღორძინებაა, ფიქსირებაა იმისა, რაც „ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების“.

მაგრამ ასეთ დროს პოეტს შემწედ ევლინება სასულიერო პოეზიის ის დიდი გამოცდილება, რომელზეც ჩვენ ზემოთ უკვე ვისაუბრეთ. ცხოვრებისეული ფაქტებიდან დაძრული იმპულსების სულიერ ფაქტებამდე ამაღლება (სუბლიმირების ეს პროცესი უძირითადესი ხერხია გურამიშვილთან) სრულიად სხვა სიბრტყეზე წარმოგვისახავს ერთი შეხედვით ორდინალურ ამბავსა თუ შემთხვევას პოეტის ბიოგრაფიიდან.

ხდება შებრუნებითაც, თითქოს მხოლოდ რელიგიური გრძნობებია გამოთქმული ლექსში, რომელსაც აქ მოვიტან. პოეტური სახეების ერთი რიგიც აშკარად სასულიერო მწერლობიდან არის ნასესხები (მეტწილად საზარებიდან), მაგრამ მისი ქვეტექსტი აშკარად გამოსჭვივის სტრიქონთა შორის. სამოთხიდან გამოძევებული, ცოდვისმოქმედი ადამიანის ზოგად ბიბლიურ მოტივს აქ ბუნებრივად ერწყმის კონკრეტული პიროვნების, ამ შემთხვევაში ავტორისეული, ღრმა სულიერი ტკივილები. მკვეთრად მოისმის „სხვის ქვეყნად სამკვიდროს ქვეყნით გამოძეხული...“ ადამიანის გოდება (აქ შეუძლებელია არ გავიხსენოთ დავით ალმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“, რომელსაც, სხვათაშორის, მშვენიერი გამოკვლევები უძღვნეს მეცნიერმა ქალებმა მანანა კაკაბაძემ და ლაურა გრიგოლაშვილმა).

გურამიშვილის მედიტაციურ ლექსს, რომელიც პირველ რიგში საკუთარი გამოცდილებიდან იღებს სათავეს, სწორედ ეს თვისება ანიჭებს არაჩვეულებრივ ემოციურ დატვირთვას: „ვითა ცხოვარი გზა შეცდომილი მგელთ წარსატაცად ფარეხთა გარე, ეგრეთ შენ, თაო, ხარ გახდომილი, ასეთი საქმე მე მოგიგვარე! გავხდი გლახაკი და დავრდომილი, თუმცა საწუთროს მოვიანგარე; ვარ ცარიალზე მე დაჯდომილი საუნჯისაგან კარს გარე მდგარე. დავჰკარგე იგი ოქროს ბეჭედი, რომლით ნიშნულ არს ჩემი შვებადი, აწ მექცევიან ვანი გებადი მე საუკუნო განსვენებადი“...

ან პოეტის მომდევნო სიტყვები: „ნუ გძინავს, სულო, აწ განიღვიძე, რომ არ შეიქნა ლამპარშრეტილი“. — როგორ თანამედროვედ ჟღერს ეს ლექსი-გალობა, თუმცა, როგორც ითქვა, მისი თემაც და სახეთა სისტემაც აშკარად გვიმხელს მის ნათესაობას სასულიერო პოეზიასთან (თვით ბოლო სახე „ლამპარშრეტილიც“ მოდის სახარების იგავიდან 10 სარძლოს შესახებ).

მაგრამ ამასთან ეს სხვადასხვა შრეებიდან მომდინარე სულიერ ნაკადთა ერთობლიობა, რაც არაჩვეულებრივ მხატვრულ ეფექტს ქმნის გურამიშვილთან, განსაკუთრებულ სიფრთხილეს მოითხოვს პოეტის შემოქმედების მკვლევართაგან.

ჯერ კიდევ ამ ორი ათეული წლის წინ სრულიად მართებულად შენიშნავდა კორნელი კეკელიძე, რომ „დავითიანის“ ხშირად გამოყენებულმა „ალეგორიულმა ხერხმა“ შეიძლება ზოგიერთ შემთხვევაში გაუგებრობა დაბადოს არა მარტო პოეტის ბიოგრაფიაში, არამედ შემოქმედებით ლაბორატორიაშიც (ეტიუდები, ტ. IV, გვ. 165).

ეს მნიშვნელოვანი ნაკლი უეჭველად ახლდა გურამიშვილზე დაწერილ ადრეულ ნარკვევებს. დავით გურამიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების ამ მიმართულებით კვლევის საქმეში ბოლო ხანებში უეჭველად გადაიდგა ნაბიჯები, თუმცა „დავითიანის“ ბევრი ადგილი კვლავაც მოითხოვს დაკვირვებასა და შესწავლას.

ერთ დროს თითქმის „ოფიციალურ აზრადაც“ კი იყო გამოცხადებული, მაგალითად, რომ დავით გურამიშვილი მიმართავს ე. წ. მისტიკურ-ალეგორიულ ხერხს სამშობლოს სიყვარულის გამოსახატავად, რომ მის შემოქმედებაში „სატრფო“ იგივე სამშობლოა და ა. შ.

თითქმის ყველა ადრეულ გამოკვლევაში (და შემდეგაც) ეს აზრი ურყევად მეორდებოდა. ასევე გატარებული იყო იგი სახელმძღვანელოებშიც კი, რომლებიც წლების მანძილზე იბეჭდებოდა (და ბოლო წლებშიც დაიბეჭდა). გურამიშვილის ცნობილი ჰიმნი „ოდეს დატყობულმან ურჯულოს ქვეყანას საყვარლის სახე და სურათი ველარ ნახა, იმის მოთქმა დავითისაგან“ და განსაკუთრებით ამავე ლექსის დასაწყისი სიტყვები გამოცხადებული იყო პატრიოტული ლირიკის აშკარა ნიმუშად. კერძოდ, იგულისხმებოდა შემდეგი სტრიქონები: „სახით სიტყვა შვენიერო, სხიო მზეთა-მზის სახეო! ვეძებე და შენი მგზავსი მე აქ ვერცადა ვნახეო; გეჯნები ნუ გამწირავ, მოვკვდე, შენ კერძ დამმარხეო“. ამასთან, როგორც წესი, გურამიშვილის აღნიშნულ სტრიქონებს თავისი შინაარსით მიიჩნევდნენ აკაკის „განთიადის“ უეჭველ წინამორბედად, მაშინ, როცა ზემოთ დასახელებული ლექსი ტიპიურია „დავითიანში“ და გურამიშვილისათვის ჩვეულ, ქრისტიანულ სიმბოლიკაზეა დამყარებული. აქ „სახით სიტყვა შვენიერო“ ძე ღვთისაა, ქრისტეა (იხ. „პირველთაგან იყო სიტყუაჲ და სიტყუაჲ იგი იყო ღრმთისა თანა, და ღმერთი იყო სიტყუაჲ იგი“, სახარება, იოანე, 1,1). ხოლო მზეთამზე თვით დავითისავე მეტყველებაში მამა ღმერთს აღნიშნავს. პოეტი თავის საგალობელში შესთხოვს უზენაესს, რომ იგი არ დარჩეს მიუსაფარი, რომ მასაც არგუნოს ადგილი სამოთხეში, რაც ბოლო სტრიქონში პირდაპირაა კიდეც ნათქვამი: „ჯოჯოხეთში ნუ ჩამაგდებ, მიწყალობე სამოთხეო“.

ამაზე აქ საგანგებოდ იმიტომ შევჩერდი, რომ ეს მაგალითი ტიპიურია და ასეთი თვალსაზრისი პირდაპირ წამლეკავი იყო, ისიც აღსანიშნავია, რომ იგი ვრცელდებოდა არა მხოლოდ გურამიშვილზე. ფაქტიურად „აღორძინების ხანის“ მთელი ქართული ლირიკა, რომელიც ქრისტიანული მწერლობისათვის აგრერიგად დამახასიათებელი ე. წ. საღვთო მიჯნურობისადმი იყო მიძღვნილი, პატრიოტულ ლირიკად იქნა გამოცხადებული. თითქოს თეიმურაზ პირველს, არჩილს, ვახტანგ მეექვსესა და დავით გურამიშვილს ვინმე უშლიდა ხელს, რომ პირდაპირ, ყოველგვარი ალეგორიული ფორმის გარეშე, გამოეხატათ თავისი ეროვნული გრძნობა და აკი გამოხატეს კიდეც დიდებულად. აქ მარტო ვახტანგის „რანი და მოვაკანისა...“ ან გურამიშვილის „მოვიტირით ჩვენ სამკვიდროს“ გახსენება იკმარებდა.

ამ მცდარი დასკვნების მიზეზი მსოფლშეგრძნების ე. წ. ქრისტიანული ნაკადის „უნებური“ თუ შეგნებული იგნორაცია იყო. რაც შეეხება კონკრეტულად ზემოთმოტანილ ფაქტებს, აქ ანალოგიის სრულიად უადგილო გამოყენებასთან გვაქვს საქმე, როცა მე-19 საუკუნისათვის დამახასიათებელი ალეგორიზმის ხერხები, რომლებშიც ფაქტიურად ინიღბებოდა ცარიზმის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის ფორმები, მექანიკურად იქნა გადატანილი სულ სხვა ისტორიულ სინამდვილეში. რასაკვირველია, შედეგიც, მეტი რომ არ ვთქვათ, უცნაური მივიღეთ: პატრიოტული ლირიკის ნიმუშებად იყო მიჩნეული აშკარად სპირიტუალისტური ძიებებით აღბეჭდილი ლექსები.

ალბათ ამ საკითხებზე სხვა დროს უფრო არსებითად მოგვიხდება საუბარი, ოღონდ აქ შევნიშნავ, რომ სამწუხაროდ, „დავითიანის“ ტექსტის ასეთმა გაგებამ გურამიშვილის სხვა ენებზე თარგმანების საქმეშიც იჩინა თავი, რაც მომავალში უნდა გასწორდეს.

ასევე, როგორც ირკვევა, აღნიშნული თვალსაზრისი არ არის უცხო უკანასკნელ ხანებში გამოქვეყნებულ ნაშრომებშიც, სადაც ისევ და ისევ საუბარია XVII-XVIII ს. ს. ე. წ. პატრიოტულ-ალეგორიულ ლირიკაზე. მაგალითად, ასეთი აზრი დასკვნა-დებულების სახით გატარებულია რევაზ სირაძის ნაშრომში „ქართული ესთეტიკური აზრის ისტორიიდან“ (1978, გვ. 249 და ა. შ.). მით უფრო მოულოდნელი იყო ეს აღნიშნულ ნაშრომში, რადგან ავტორის მისამართით საჭიროდაც აღინიშნა ასეთი თვალსაზრისის მეთოდოლოგიური ნაკლოვანება.

დასკვნისათვის აქ კიდევ ერთხელ დავსძენ, რომ გურამიშვილის რთული პოეტური სამყაროს უკეთ შესწავლისათვის ზემოთ მინიშნებულ საკითხებზე ჩაღრმავებული მსჯელობა ქართული ლიტერატურათმცოდნეობის კიდევ ერთი გადაუდებელი საქმეა.

4. „დავითიანის“ ერთი ადგილის გაგებისათვის

„ქართლის ჭირის“ ფურცლებზე ბედნიერად ერწყმის ერთმანეთს დიდი მხატვარი და პირუთვნელი მემატიანე. „დავითიანის“ ადრეული გამოცემის ერთ-ერთი მესვეური, მე-19 საუკუნის ჩვენი შესანიშნავი მოღვაწე პეტრე უმიკაშვილი ამასთან დაკავშირებით მართებულად აღნიშნავდა, რომ „მასავით ნათლად და სიმართლით არც ერთ მწერალს არ გადმოუცია ჩვენთვის საქართველოს ხალხის მწუხარება და წადილი“ (დავითიანის 1881 წ. გამოც., გვ. V), მართლაც, შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ძველ ქართულ პოეზიაში ჩვენი ხალხის ეროვნული ბედ-იღბალი ისე არავის წარმოუსახავს, როგორც დავით გურამიშვილს. მთელი „დავითიანი“ ამ უწმინდესი თემის დრამატული განცდის ნაყოფია. მნიშვნელოვანია აგრეთვე, რომ „ქართლის ჭირის“ ასე ძლიერად გამოსახატავად გურამიშვილმა მიაგნო შესაფერ პოეტურ კილოს, მისი სადა და ამასთან ჭარბი კოლორიტით აღსავსე თხრობაში მახვილი მემატიანის თვალით აღდგენილია ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უმძაფრესი ეპოქა, როცა, პოეტის სიტყვით, „იფქლი ღვარძლად გარდაიქცა, ზედ მობრუნდა ცეცხლის კევრი“.

დავით გურამიშვილის დიდ პოეტურ შთაგონებას კვებავდა არაჩვეულებრივი მეხსიერება. „ქართლის ჭირის“ აღწერისას ისეთი დეტალებია გადმოცემული, რომ ცოცხლად წარმოგვიდგენს მთელი ეპოქის ხასიათს, ხოლო განზოგადება-დასკვნების დროსაც თავისი ღირსებებით იგი ბევრად აჭარბებს ყველა იმ ოფიციალურ მატიანეს, რომელიც ვახტანგ მეექვსის ეპოქას ეხება.

მაგრამ მხატვრული თვალსაზრისით „ქართლის ჭირის“ უპირველესი თავისებურება მაინც ის არის, რომ გურამიშვილი საქართველოს ისტორიული სურათის გადმოცემისას საკუთარ თავგადასავალსაც მოგვითხრობს.

საქართველოს განსაცდელს, თუ შეიძლება ასე ითქვას, მან საკუთარი ჭირიც დაურთო და ამით საოცარი უშუალობა მიანიჭა „ქართლის ჭირის“ მღელვარე სტრიქონებს. აქ ეპოსი და ლირიკა თითქოს ერთმანეთს ენაცვლება და მხატვრული თვალსაზრისით ძალზე მომხიბლავ გარემოს ქმნის. საქართველოს ისტორიული პანორამის გადმოცემისას, როგორც ზემოთაც ითქვა, ცალკეულ ეპიზოდებს გზადაგზა ლირიკული წიაღსვლები ენაცვლება, რაც ინტიმური ელფერით მოსავს პოემაში წარმოსახულ მხატვრულ სინამდვილეს.

მაგრამ თუ „დავითიანის“ თხრობითი მონაკვეთი, სადაც პოეტი საკუთარ თავგადასავალთან ერთად „ქართლის ჭირის“ ამბებს გადმოგვცემს, სტილურად ბევრად უფრო გამჭვირვალეა და კილოც უშუალო, ეს ნაკლებად ითქმის იმ ნაწილზე, რომელიც ასე ახლო დგას თავისი შინაარსით ძველ-ქართულ სასულიერო პოეზიის ნიმუშებთან.

აქ მკვლევარს ბეწვის ხიდზე მართებს სიარული, რათა გაარჩიოს რეალური და მისტიური პლანი, ტექსტი და ქვეტექსტი. ამის ერთი მაგალითი (იხ. ლექსის დასაწყისი სიტყვები: „სახით სიტყვა შვენიერო“...) ზემოთაც ვაჩვენეთ, ხოლო არც ისე ცოტაა მაგალითები, როცა ლექსთა არასწორი გაგების საფუძველზე თვით პოეტის ბიოგრაფიული დეტალებიც კი გამრუდებულად იყო წარმოდგენილი. მაგალითად, დავითის ერთ ჰიმნში („დავით გურამიშვილისაგან საწუთროს სოფლის სამდურავი“) ნახსენებ ახალდაბას ხან სად და ხან სად ეძებდნენ და უკავშირებდნენ რუსულ-უკრაინულ ტოპონიმს (**Новоселица**), ასევე გაუგებარი ჩანდა ამავე სტრიქონის სარითმო სიტყვაც „ბოლი“ და ა. შ. მაშინ, როცა აქ იგავური ხერხით ნათქვამია, რომ დადგა ჟამი ამ ქვეყნიდან (სააქაოდან) იმ ქვეყნად (საიქიოს) აღსვლისა: „ახალდაბას ნუღარ ხარო, მეძახიან ამო ბოლსა, აწ რომ მე იქ წამიყვანონ, ვინ გამიზრდის ამ ობოლსა“. „ახალდაბა“ და „ბოლი“ სოფლებია ქსნის ხეობაში (რომლებსაც ასე კარგად იცნობდა პოეტი), ერთი დაბლაა გაშენებული, ხოლო მეორე უფრო მაღლა და ასეთი დაპირისპირებით მინიშნებულია ზემოთმოტანილი აზრი საქართველოდან საიქიოში წასვლისა.

ასე ესმით დღეს აღნიშნული ადგილი, მაგრამ „დავითიანის“ ზოგ ცალკეულ ადგილსა თუ ფრაზას, ჩემის აზრით, სჭირდება შემდგომი დაკვირვება.

პოემაში განსაკუთრებული მხატვრული ძალით გამოირჩევა ეპიზოდი, რომელშიც პოეტი თითქმის კინემატოგრაფიული სიცხადით აგვიწერს თავის დატყვევების ამბავს. ამ ეპიზოდზე მე აქ არ შევჩერდები, რადგან იგი ისედაც კარგად მოეხსენება მკითხველს. ოღონდ აღვნიშნავ, რომ მთელი ლიტერატურა შეიქმნა იმის თაობაზე, თუ როგორ პირობებში ჰყავდათ ან ეყოლებოდათ პოეტი დატყვევებული ლეკებს.

მაგრამ უმჯობესია მოვუსმინოთ დავით გურამიშვილის ცხოვრების შესწავლაზე ერთ ყველაზე დამაშვრალ მკვლევარს სოლომონ ყუბანეიშვილს: „ჩანს დავითი ბნელ ხაროში დაუმწყვდევიათ, ტყვეების ხაროში ჩაგდება ლეკებს წესად ჰქონიათ... საკვირველია, ამ მდგომარეობაში მყოფმა დავითმა როგორ მოახერხა ღრმა და დახურულ ხაროდან ამოსვლა“ („დავით გურამიშვილი ჰუსართა პოლკში“, 1955, გვ. 83-84). წიგნის ავტორი ამ შემთხვევაში გამონაკლისი არ არის. ამავე შეხედულებას გამოთქვამდა მასზე ადრე და შემდეგაც გურამიშვილის თითქმის ყველა მკვლევარი, რომელთა დასახელება აქ შორს წაგვიყვანდა.

ამასთან, ერთხმად, ანალოგიისათვის მოჰქონდათ შამილზე არსებული ლიტერატურა, ლევ ტოლსტოის „ჰაჯი-მურატის“ სათანადო პასაჟები, ილია ორბელიანის დაღესტანში ტყვეობის დღიურები და მრავალი სხვ. სადაც კი საუბარია ლეკთაგან პატიმრებისა თუ ტყვეთა ხაროში (თანაც დახურულში) მოთავსებაზე.

რაც შეეხება თვით „დავითიანის“ ტექსტს, დასტურად ზემოთქმულისა, ასახელებდნენ შემდეგ სტრიქონებს: „ბნელსა ვზივარ, გეაჯები სასინათლოდ ამიხვრიტო, ამოვძვრე და გამოვიქცე, მოვიდე და შენა გჭვრიტო“... („ქართლის ჭირი“, სტრ. 335).

მაგრამ ლექსზე დაკვირვება გვიმხელს, რომ აქ არავითარ რეალურ ორმოზე არაა საუბარი. სხვათაშორის, ეს არის იგივე ჰიმნი, რომელსაც როგორც ზემოთ ვნახეთ, შეცდომით პატრიოტულ-ალეგორიული ლირიკის ნიმუშად მიიჩნევდნენ. ყველა სახე, რომელიც აქ მოტანილია, აშკარად მისტიური შინაარსისაა (შდრ. „სახით სიტყვა შვენიერო“, „საყვარელო“, „ტკბილო ცხოვრებისა წყარო“ და ა. შ. მთელი ჰიმნი კი ღაღადისია პირველმიზეზისადმი, რომელიც იმედად, „საესავად“ ეგულება მძიმე განსაცდელის ჟამს, „ურჯულო ქვეყანაში“ მყოფ პოეტს).

ასევე ქრისტიანული სიმბოლიკის საფუძველზე აქ სიბნელე (თუ „ბნელში ჯდომა“) გააზრებულია როგორც ამქვეყნიერი ცოდვილი არსებობა და პოეტი გამოხატავს მარადიული სინათლისაკენ, ღვთაებისაკენ დაუოკებელ სწრაფვას („გეაჯები, სასინათლო ამიხვრიტო“) და ძე ღვთისას თხოვს მის მიმართაც გაიმეოროს ლაზარეს სასწაული („ვით ლაზარეს დამარხულსა „აღდეგ“ — თავსა დამძახეო“. იხ. სახარება, იოანე, 11, 43; 12, 17 და ა. შ.).

სხვა არავითარი მინიშნება რეალურ ორმოზე, ხაროზე (თანაც დახურულსა და უჰაეროზე) აქ ჩვენ არ გვხვდება, მაშინ, როცა წინა თავში ისეთი დეტალებიც კი არის გადმოცემული, თუ რას აჭმევდნენ ტყვეობაში პოეტს და როგორ „ახვრიტეს (ახვეს) ხინკლის წვენია“.

აქვე შევნიშნავ, რომ რიგ სხვა ჰიმნში, ეს სწორედ გურამიშვილისეული მხატვრული ხერხია, სულიერი პლანი რეალურით არის შემაგრებული, რაც ზოგჯერ პოეტს თვითონვე აქვს ხაზგასმული. მაგალითად იხ. ჰიმნი „ოდეს დავით გურამიშვილი კისტრინის ომში ცხენითურთ ლიაში დაეფლა, იმის მონასიბად ღვთისმშობლის შესხმა“, სადაც რეალური ამბავი „ლიაში (ჭაობში) დაფლვა“ გააზრებულია, როგორც ამქვეყნიური ცოდვილი არსებობა, საიდანაც დახსნას ითხოვს პოეტი, სუბლიმირების ასეთ ხერხზე ჩვენ ზემოთ უკვე ვისაუბრეთ, რაც დამახასიათებელია გურამიშვილის ჰიმნების დიდი უმრავლესობისათვის.

მაგრამ სადაც „ბნელში ჯდომასა“ და ორმოზეა საუბარი, ჩვენ არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ აქ ყველგან რეალურ ფაქტებზეა საუბარი, თორემ ძალზე შევლახავთ პოეტის ჩანაფიქრს.

მართლაც, ზემოთმოტანილ ლექსზე, სადაც თითქოს საუბარია რეალურ ორმოზე, უფრო მკვეთრი მინიშნებანი გვაქვს სხვა ლექსებში, მაგრამ აქაც ასეთივე ვითარებაა. მაგალითად ერთგან პოეტი ამბობს: „მოდი საძებრად, ვგდივარ სად მთხრებლად (ორმოში), გამკურნე ჭირი, მთხრებლს (ორმოს) ახსენ პირი, აღმომიყვანე“ (იხ. ჰიმნი ნე).

სხვათაშორის, „დავითიანში“ არის სხვა ლექსიც, რომელიც იძლევა გასაღებს აღნიშნული პოეტური სახისათვის და პირდაპირაა ნათქვამი, თუ რა ორმოზე ანუ ხნარცვზეა საერთოდ მის ჰიმნებში საუბარი: „იესო მწყემსო კეთილო, ჩემებრ წარწყმედილთ მპოვნელო! ჩავვარდი ცოდვის ხნარცვშია, ვსცადე და ვერ ამოველო“ (გვ. „უცხო ნახვის შიშით მუხლთმოჭრის დროს დავითის ლოცვა და გალობა“).

მე აქ მაგალითებს აღარ გავამრავლებ, ოღონდ დავსძენ, რომ „დავითიანის“ კომენტარების დროს არის საპირისპირო შემთხვევები, როცა აქცენტი მხოლოდ სულიერ პლანზეა გადატანილი და იგნორირებულია რეალური პლანი, მაგრამ მათზე სხვა დროს მოგვიწევს საუბარი.

ერთი კი, ჩემის აზრით, ცხადია, ამათუიმ ადგილის გაშიფრვის დროს უნდა ვერიდოთ ზედმეტ ანალოგიებს და ტექსტში ვეცადოთ ამოვიკითხოთ ის, რისი თქმაც სურდა თვით ავტორს.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლიტერატურული საქართველო“ № 39).

შალვა ფორჩხიძე

დილის სიმღერები

ციკლიდან „აკაკის მოტივები“

ღმერთო, რამხელა სიტყვა გითქვამს:
საქართველო!
რამხელა დაზრდილან იმერეთის ლურჯი
კორდები!
ბევრს არაფერს გთხოვ,
მათ გულმკერდზე უნდა დამასვენო,
მე როცა მოვკვდები...
ღმერთო, რა მაღალი სიტყვა გითქვამს:
საქართველო!
ღმერთო, როგორ გშვენის ხელი დაწიფული!
მხოლოდ ვაზის ცრემლით უნდა დამასველო,
რომ არ დავილუპო
მტრისგან განწირული...
ღმერთო, რა მართალი სიტყვა გითქვამს:
საქართველო!
ღმერთო, როგორ შვენის ვენახი შენი!
ჟამი უამური აღარ გამახსენო,
ქართველთ მოუმრავლე
სათნო ყურძნის ხენი...
ღმერთო, რა ლამაზი სიტყვა გითქვამს:
საქართველო!
სხვა სილამაზე არც მწამს!
ერთხელ ჩემი ხალხი
მეც უნდა ვასახელო,
ვიდრე სიყვარული დამწვავს...
ღმერთო, რა უკვდავი სიტყვა გითქვამს:
საქართველო!
რამხელა დაზრდილან იმერეთის ლურჯი
კორდები!
ბევრს არაფერს გთხოვ,
მათ გულმკერდზე უნდა დამასვენო,
მე როცა მოვკვდები...

II

ღმერთო! —
რამხელა მზე დანათის ხმელეთს,
წითელი სხივები
ოქროს ფოთლებივით ცვივა.

დედა
ბოსტანში
დილის ცვარით ისველებს ხელებს, —
თითქოს ანგელოსი გადმოსულა ციდან...

III

ღმერთო! —
რანაირი ცა დამყურებს თავზე,
ღმერთო! —
რამხელა მთები აგიშენებია...
კურთხეულ იყოს
ხელი შენი,
სინათლით სავსე, —
საქართველო ვენახით დაგიმშვენებია...
ღმერთი კი არა,
სული ხარ ქართველთა,
მუდამ რომ ენთები
და აღარ ბინდდები.
არ მომიშალო სველ ფოთლებში
თვალის გახელა,
წითელი ყაყაჩო და ლურჯი იები...
დილით რომ ჩიტები იწყებენ გალობას
და საქართველო მზესავით თენდება,
რად მინდა სხვა მეტი წყალობა, —
გულზე სიყვარული ცეცხლივით მედება!..

თენგიზ გოგოლაძე

კონცერტი

მოთხრობა

როცა შეკრებილთ თვალი გადავავლე, ერთი ჩვეულებრივი ჯარისკაცური კონცერტისათვის საკმაოდ მოზრდილი მეჩვენა ჩვენი ბრიგადა. აქ იყვნენ მომღერლები, მოცეკვავეები, დეკლამატორები და ცირკის მსახიობები. ერთი შუახნის პოეტიც გვერია. ბევრი მათგანი გასტროლებმოყირჟებული იყო და ახლა ჩვეულებრივ ამბად მიაჩნდა შორეულ სასაზღვრო ზონაში გამგზავრება.

ისე სწრაფად დაგვიძახეს, ისე ჰაიჰარად მოგვიყარეს თავი, ხეირიანად ვერც კი გავიაზრე, რა უნდა მემღერა კონცერტზე. თან ჩემი აკომპანიატორი მახლდა, ჩემი განუყრელი მეგობარი, და მასთან ერთად სწრაფად შევადგინე პროგრამა — ორი არია, ერთი ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერიდან“, მეორე — ბიზეს „კარმენიდან“. წარმატების შემთხვევაში მარქაფად ერთი ქართული ხალხური სიმღერაც მქონდა.

ჩვენს ჯგუფში მეორე მომღერალიც გვყავდა თავისი აკომპანიატორით. როგორც გავიგე, ეს მომღერალი მოსკოვის კონსერვატორიის ბოლო კურსელი იყო, სუსტი, კაფანდარა გოგონა. აკომპანიატორი კი შუახნის კაცი გახლდათ. ვატყობდი, რომ გოგონა ძლიერ ღელავდა, ყელზე მალიმალ ისწორებდა ჭრელ კაშნეს.

ადრეული შემოდგომა იყო, გრილოდა, მაგრამ არც ისე, რომ ყელზე თბილი რამ მოიხვიო. მომღერლის მთავარი ინსტრუმენტი ყელია და თუ ყელი გაგიციედა, საქმე გათავებულია.

სანამ საბუთებს გაგვიფორმებდნენ, ჩვენ ერთმანეთი გავიცანით. გოგონამ ხელი ჩამომართვა, გრძელი წამწამები აიფახულა, ქვეშქვეშ ღიმილით შემომხედა, ისეთი ღიმილით, მსახიობებს რომ გვჩვევია — გველიმება თუ არ გველიმება — მაინც რომ ვიღიმით. მოგეხსენებათ, ასეთ ღიმილს რა მადლი აქვს. ზოგს, მართალია, მოხდენილად, ბუნებრივად გამოსდის. მაგრამ ახლა მომღერალ გოგონას ბუნებრივად არ გამოუვიდა, რადგან ღელავდა.

მისმა თანმხლებმა მამაკაცმა ენერგიულად ჩამომართვა ხელი.

— მოხარული ვარ თქვენი გაცნობით, — მომმართა მან, — მე იგორ ვასილიევიჩი გახლავართ, ნატაშას აკომპანიატორი და შეთავსებით დამწყნარებელიც...

— როგორ თუ დამწყნარებელი?! — გავიკვირვე და ნატაშას შევხედე. ყელსახვევი ხომ შემოხვეული ჰქონდა, ორივე ხელითაც ყელს ითბუნებდა.

— პირველად მივემგზავრებით გასტროლებზე... უფრო სწორად, ნატაშა მიემგზავრება პირველად. მე კი... ქვეყანა მაქვს შემოვლილი, კოლმეურნეობები, ჯარის ნაწილები... სან-ფრანცისკო და მეხიკო...— გაიცინა იგორ ვასილიევიჩმა, მერე ნატაშას მოხვია ხელი, — ნუ ღელავ, გეთაყვა, ყველაფერი ისე იქნება, როგორც კონსერვატორიაში.

ნატაშა სტუდენტი იყო და ბუნებრივია, ასე რომ განიცდიდა პირველ საგასტროლო მგზავრობას.

მეც გავამხნევე. მაგრამ რა, ვისი სიტყვა ისმინა! ის მაინც ღელავდა ისეთი მღელვარებით, რომლის შემჩნევა მხოლოდ ჩვენ, მომღერლებსა და მსახიობებს შეგვეძლო. სხვათა თვალისათვის ნატაშა ალბათ ისეთივე ჩვეულებრივი მგზავრი იყო, რომელთაც მრავლად იტევს თვითმფრინავი.

სასაზღვრო ჯარების მთავარ პოლიტსამმართველოს წარმომადგენელი მოგვყვებოდა, რომელსაც ჩვენი ხელმძღვანელობა ჰქონდა დავალებული. ვალოდია სამსონოვი შესახედავად ახალგაზრდა, მაგრამ მთლად გაჭაღარავებული კაცი იყო. თვითმფრინავში ისე დაგვსხა და დაგვაბინავა, როგორც მოსიყვარულე მამა დასხამს და დააბინავებს თავის შვილებს. სულ მოფერებითა და ალერსით გვექცეოდა, მასზე უფრო ხანშიშესული იგორ ვასილიევიჩიც კი მისთვის „შვილიკო“ აღმოჩნდა. და ეს ისე ბუნებრივად გამოსდიოდა, საჩოთირო არაფერი იყო.

გავფრინდით.

მგზავრობას რამდენიმე საათი მოვანდომეთ.

აეროდრომზე მწვანექუდიანი ოფიცრები დაგვხვდნენ მსუბუქი მანქანებით. პატარა, მწვანით დაბურულ დაბაში გაგვაქანეს. კონცერტი იმ დღეს რვა საათზე იყო დანიშნული ერთ-ერთი სასაზღვრო ნაწილის კლუბში. ჩვენ ექვს საათზე ჩავფრინდით და დარჩენილი ორი საათიდან ერთი დაბის პატარა სასტუმროში გავატარეთ, ვისადილეთ, დავისვენეთ და ისევ მოგვადგნენ მწვანექუდიანი ოფიცრები.

— აბა, შვილიკოებო! — გვიღიმის ვალოდია სამსონოვი, — გავუდგეთ გზას!

მომღერლები ერთ მანქანაში მოვხვდით. შოფრის გვერდით იგორ ვასილიევიჩი დაჯდა, ვინაიდან სქელი იყო და უკანა სავარძელზე ორ მამაკაცს შეგვავიწროებდა. მე და ჩემმა აკომპანიატორმა ნატაშა შუაში ჩავისვით და თავისუფლად მოვთავსდით.

იგორ ვასილიევიჩი შოფერს გამოელაპარაკა. შოფერი მოკლედ და უხალისოდ აძლევდა პასუხებს. იგორ ვასილიევიჩი კი არა და არ ეშვებოდა.

ნატაშამ ყელსახვევი მოიხსნა, რადგან მანქანაში ცხელოდა.

—მეტისმეტად ნუ გაანებივრებთ ყელს, უარესია, — მივმართე ნატაშას.

— ხშირად მემართება ანგინა... ნიავი დამკრავს თუ არა. სიმღერა კი ძალიან მიყვარს.

— ბუნებრივია, მომღერალს სიმღერა უნდა უყვარდეს. ამითი ვცოცხლობთ, როგორც მგალობელი ჩიტები, — გავიღიმე მე,—თქვენ მართლა ღელავთ, თუ იგორ ვასილიევიჩი გიგონებთ?

იგორ ვასილიევიჩმა, ეტყობა ყური მოკრა ჩემს სიტყვებს.

— მღელვარების გარეშე სიყვარული და მუსიკა არ არსებობს!— წამოიძახა მან.

დაბიდან რამდენიმე კილომეტრი უნდა გაგვევლო, სანამ ერთ-ერთ სადარაჯომდე მივიდოდით, სადაც დღეს პირველი კონცერტი უნდა ჩაგვეტარებინა. მეორე და მესამე დღეს სხვა ნაწილებში მატარებლით გადავინაცვლებდით. და ასე, სამი კონცერტით მოვათავებდით გასტროლებს. დრო შეზღუდული გვქონდა.

მანქანა დაბას გასცდა და ტრიალ მინდორზე გავედით. მერე გზის პირას ისევ გაჩნდა ნარგავები. გორაკს ავუყევით. ავიმაღლეთ. გზა მდინარის პირს გაჰყვა დაბლა და განიერ ხეობაში.

სადარაჯოს მივაღწიეთ. გზაზე მესაზღვრეებმა შეგვაჩერეს, მერე შლაგბაუმი გაგვიხსნეს და სამხედრო ქალაქში შევედით, ნაწილის მეთაურები მოგვეგებნენ. მოგვაჩერდა ათეულობით ცნობისმოყვარე ჯარისკაცის თვალი.

— დიდის მღელვარებით გელოდით, — მოგვმართა ნაწილის მეთაურმა, ახოვანმა და ბრგე ვაჟკაცმა, — წამობრძანდით, კლუბი უკვე სავსეა.

კლუბი მართლაც გაჭედილი იყო არა მარტო ოფიცრებითა და ჯარისკაცებით, ოფიცერთა ოჯახებიც მოსულიყვნენ და, რომ იტყვიან, იმდენ ხალხში ნემსის ყუნწი არ ჩავარდებოდაო, სწორედ ისე იყო.

გამომსვლელები სწრაფად მოვემზადეთ. ფრაკი გადავიცვი, პეპელა-ბანტუნა საყელოზე კოხტად მოვირგე, თმაზე ჯაგრულა გადავისვი და სცენაზე გასასვლელად მზად ვიყავი. ამ დროს ქალები ცალკე ოთახში იცვამდნენ და, როცა კულისებში ნატაშას შევხვდი, იგი სულ სხვანაირი მეჩვენა. ცისფერი გრძელი კაბა ეცვა და უფრო მაღალს აჩენდა, გულზე თეთრი ბაბთა ჰქონდა დაბნეული, მეტად ჰაეროვანი და ნაზი ჩანდა.

დარბაზი ისე იყო განაბული, თითქოს იქ მსხდომნი დახურულ ფარდას კი არა, საინტერესო სანახაობას უყურებდნენ, ანდა მუსიკას ისმენდნენ. ასეა ხოლმე სამხედრო კლუბებში, სამოქალაქო კლუბებისაგან განსხვავებით აქ ასეთი ჩვევა აქვთ, ასეთი წესრიგი. ისინი ჩუმად და მოთმინებით ელოდნენ ფარდის გახსნას.

პროგრამის მიხედვით ნატაშა სამი კაცის მერე უნდა გამოსულიყო, მე ბოლოს მიწევდა. ჩვენი კონცერტი არანაკლებ სამ საათს მაინც გასტანდა. ხომ არ მოვქანცავთ მაყურებელსო, იკითხა ცირკის მსახიობმა, როცა ყველანი ერთად შევიკრიბეთ. ამის პასუხად ნაწილის მეთაურმა იგივე სიტყვები გაიმეორა, შეხვედრისას რომ მოგვმართა, რას ბრძანებთ, დიდის მღელვარებით გელოდითო. ეს იმას ნიშნავდა, რომ მათ ხელოვნების მუშაკებთან შეხვედრა მონატრებოდათ.

კონფერანსიე მოსკოვის ფილარმონიის მსახიობი იყო. იგი ავანსცენაზე გავიდა და დარბაზმა ტაში დასცხო. ნატაშა შეკრთა. იგორ ვასილიევიჩი რაღაც უჩურჩულა.

კონფერანსიე რაღაც სახუმაროს უყვებოდა შეკრებილთ და დარბაზიც ხარხარებდა. მხიარული და საზეიმო განწყობილება უკვე სუფევდა. დანარჩენი ჩვენზე იყო.

გავიდა პირველი გამომსვლელი დეკლამატორი. არმიულ თემაზე დაწერილი მოთხრობა გრძნობით წაიკითხა ზეპირად. მქუხარე ტაშიც დაიმსახურა. მსახიობი სცენიდან არ გაუშვეს და მეორე მოთხრობაც წააკითხეს, ეს უკვე იუმორისტული მოთხრობა იყო და მთელმა დარბაზმა გულიანად იხარხარა. ისევ დასცხეს ტაში, ისევ არ უშვებდნენ, დაღლილი მსახიობი კულისებში რომ შემოვარდა, სულს ძლივს ითქვამდა. სამჯერ გაიყვანეს, მაგრამ ახლა ველარ გასტეხეს, ველარაფერი ათქმევინეს. ხუმრობა საქმე, აქ პირველსავე კონცერტზე რომ დაიხარჯოს, ხვალ, ზეგ, რაღა საფანელი ეყოფა!

მერე პოეტი გავიდა. კარგი ლექსები წაიკითხა, მაგრამ მეტისმეტი, ხომ მოგეხსენებათ... სცენას ველარ შეელია. ნატაშა კი მღელვარებისაგან ლამის გათავდა. დგას იგორ ვასილიევიჩის წინ, ხელებს იფშვნეტს და ჩუმად ეუბნება თავის აკომპანიატორს:

— ჩავფლავდები... თითქოს ხმაც აღარა მაქვს.

— ნატაშა, შენ მე მომკლავ! აი, ნახავ, ყველაფერი კარგად იქნება! — ემუდარებოდა იგორ ვასილიევიჩი.

როგორც იქნა უკანასკნელი ოფლი მოიწურა პოეტმა და კულისებში შემოვიდა სახეაწითლებული, აგზნებული და ბედნიერი.

კონფერანსიემ ნატაშას გვარი გამოაცხადა და კულისებისაკენ მოათითა, რომ ნატაშა და მისი აკომპანიატორი გასულიყვნენ. და ისინიც დაიძრნენ, იგორ ვასილიევიჩი ნოტებით — პიანინოსკენ, ნატაშა — ავანსცენაზე. რასაკვირველია, ასეთი ფერიის გამოჩენა შესძრავდა დარბაზს.

ჯარისკაცები ფეხზე წამოდგნენ და გოგონას ტაშით შეხვდნენ. მერე დასხდნენ და გაინაბნენ.

აღელვებული ნატაშა კი ლერწამივით ირწეოდა.

იგორ ვასილიევიჩი მომღერლის ნიშანს ელოდა. და აი ეს ნიშანიც: ნატაშამ მისკენ გაიხედა და თავი დაუქნია.

იგორ ვასილიევიჩმა თითები კლავიშებს შეახო და პიანინო აჟღერდა. ნატაშამ თავდაჯდანვე მაღალი ნოტები აიღო, ხმა აუწია და აუწია...

უცებ ბრაგაბრუგით წამოცვივდნენ ჯარისკაცები. და არა მარტო ჯარისკაცები, ქალებმა ბავშვებს წაავლეს ხელი და გაქანდნენ. ყველანი კლუბის ექვსსავე ფართო კარს ეცნენ და დარბაზი თვალის დახამხამებაში დაიცალა.

გაოგნებულ იგორ ვასილიევიჩს ხელები კლავიშზე მიეყინა, ხოლო ქანდაკებად ქცეული და დადუმებული ნატაშა აღარც ინძრეოდა.

— რა მოხდა?! — შევშფოთდით კულისებში.

მე ნატაშას გამოსაყვანად გავემართე. მივუახლოვდი და ხელი მოვკიდე. შემომხედა. თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე. კულისებში რომ გამოვიყვანე, ატირდა, იგორ ვასილიევიჩი ხმას ვერ იღებდა. ახლა თვითონ იგი იყო დასამშვიდებელი.

ამ დროს მოგვიახლოვდა ნაწილის პოლიტგანყოფილების უფროსი, მაღალი, კოხტად გამოწყობილი მაიორი და ყველას მოგვმართა:

— საგუშაგოს მორიგემ ეს-ეს არის გვაცნობა... ნაწილში განგაში გამოცხადდა... გვაპატიეთ. ნომერ პირველი მზადყოფნაა.

თქვა თუ არა ეს, იგიც გავარდა კულისებიდან.

ნატაშა, რომელსაც ალბათ სულ სხვა აზრებმა დასცეს თავზარი, უცებ მოცოცხლდა, იგორ ვასილიევიჩს მოეხვია.

— მე კი მეგონა...

— დამშვიდდი, ჩემო გოგონა... შენ ჩინებული იყავი... — ახლა კი ამოიღო ხმა იგორ ვასილიევიჩმა.

მალე ყველაფერში გაგვარკვიეს. საზღვარზე თურმე მექანიზმები ამოქმედდნენ, გარნიზონი ფეხზე დადგა.

რაღას ვიზამდით!

კლუბის გამგემ გვთხოვა, ცოტა ხანს მოგვეცადა, სანამ განგაში დამთავრდებოდა. ვისხედით და ველოდით. მაგრამ დროც არ ითმენდა. საქმე ის იყო, რომ ჩვენი მატარებელი, რომელსაც იმ საღამოსვე უნდა გავყოლოდით, ღამის თორმეტ საათზე გადიოდა. დილით სხვა ნაწილში მოგველოდნენ.

ათი საათი შესრულდა. მაინც ვსხედვართ და ველოდებით. ათას რამეს ვფიქრობდი, როგორ დაარღვიეს დივერსანტებმა საზღვარი, როგორ შეებრძოლნენ ჩვენი ბიჭები, აი ისინი, წეღან დარბაზში რომ ხარხარებდნენ. იქნებ ზოგიერთი მათგანი შეტაკებისას კიდეც დაჭრეს, კიდეც მოკლეს... სწორე გითხრათ, ცუდ გუნებაზე დავდექი. რაღა ფასი ექნებოდა კონცერტის გაგრძელებას, გინდაც მობრუნებულიყვნენ დაღლილ-დაქანცული მებრძოლები! ანდა, მობრუნდებიან კი კლუბში? ვიღას ექნებოდა ჩვენი მოსმენის თავი!

— რას ვიზამთ, ასეთია ჩვენი ცხოვრება, — მხრების აჩეჩვით მოგვმართა სამსონოვმა, რომელიც განგაშის დროს ჩვენთან იყო.

თერთმეტი შესრულდა და ავიბარგეთ. გავიძრე ფრაკი. სხვებმაც გაიხადეს საკონცერტო სამოსელი. ჩვენთვის განკუთვნილი მანქანები კლუბთან გველოდა. ჩავსხედით და პირდაპირ სადგურისაკენ გავწიეთ.

ნატაშა ისევ ჩემს გვერდით იჯდა, იგორ ვასილიევიჩი ამჯერად აღარ ეუბნებოდა შოფერს. ნატაშას არაფერს ეუბნებოდა და არც იგი იღებდა ხმას. დაქმარებულნი და გასუსულები ვიყავით. ვინ იცის, საზღვარზე ამ დროს რა ხდებოდა!

მანქანის ფარები გზას ანათებენ. წინ ერთი მანქანა მიდის, მერე ჩვენ მივყვებით. ჩვენ სხვა მოგვდევს.

სადგურზე მივედით. სადგურზე, ეს იყო სასაზღვრო ზონაში რკინიგზის ბოლო პუნქტი, მატარებელი უკვე ჩამოეყენებინათ. ჩვენი ადგილები მოვნახეთ, ბარგი-ბარხანა მივაწყ-მოვაწყვეთ და დავბინავდით.

სადგურის ბაქნიდან უცებ ხმაური შემოგვესმა, ჩექმების ბრაგაბრუგი და მხიარული ხმები. სანამ ფანჯრიდან გადვიხედავდით, ვაგონის დერეფანში კლუბის გამგე შემოიჭრა, აღელვებული და აქოშინებული.

— ძვირფასო მსახიობებო!.. ძვირფასო სტუმრებო! — უნდოდა ყველასთვის ერთბაშად მიემართა, — მატარებლის გასვლამდე დარჩენილია ათი წუთი... გთხოვთ, ნუ გაწბილებთ... ისინი აქ არიან!..

ბაქანს ლამპიონები ანათებდნენ, ვაგონთან უამრავ მესაზღვრეს მოეყარა თავი და უკვე ტაშის აყოლებით გაიძახოდნენ:

— ნა... ტა... შა! ნა... ტა... შა!

იგორ ვასილიევიჩი ბავშვივით აცმუკდა.

— ნატაშა, ძვირფასო! დაეწახვე, წამოდი, ჩქარა!

ხელი მოჰკიდა და გოგონა ტამბურისაკენ გაარბენინა. ჩვენ უკან მივყევით. ტამბურში ჩავიჭედეთ. ვაგონის კარს ჯარისკაცები მოაწყდნენ და ნატაშას დანახვაზე უცებ გაქვავდნენ, გაინაბნენ.

ნატაშა დუმდა. ვინ იცის, რა ტრიალებდა ახლა მის გულში ამ უჩვეულო აუდიტორიის წინაშე. მე მის სახეს ვერ ვხედავდი.

და ამ დუმილში ნაზად, ნარნარად გაისმა ნატაშას ტკბილი ხმა. ამღერდა გატაცებით, ვერც კი გავიგეთ, როგორ დაიძრა მატარებელი. ჯერ ნელა, შეუმჩნევლად წავიდა. ვაგონთან ერთად დაიძრნენ ჯარისკაცები. თვლები რომ ახმაურდნენ, ჩექმებიც აბრაგუნდნენ. ნატაშა კი თავდავიწყებით აბნევდა ჰანგებს ღამის წყვდიადში.

მატარებელი სვლას უმატებდა და ჯარისკაცები მორბოდნენ. გათავდა ბაქანი და ისინიც შეჩერდნენ. ნატაშას კი სიმღერა ჯერაც არ დაემთავრებინა.

და ისევ ყრუდ, შორეულ მოძახილად ჩაგვესმა ჯარისკაცების ტაშს აყოლილი „ნა... ტა... შა! ნა... ტა... შა!“

მატარებელი მიჰქროდა.

გამყოლი, რომელიც აქამდე კიბეზე იდგა, ზემოთ ამოვიდა. ნატაშა ჩვენსკენ შემობრუნდა და ტამბურის მიმქრალ შუქზე დავინახე მისი გაბადრული სახე და ცრემლიანი თვალები.

— ესეც კონცერტი! — აღტაცებით წამოიძახა იგორ ვასილიევიჩმა, ნატაშას ხელი მოხვია და ვაგონში შეიყვანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრკ მწერალთა კავშირი და „ნედელია": საკავშირო კონკურსი მოთხრობაზე

საბჭოური ხასიათი

ჩვენ ყველანი — ჩვენი ქვეყნის შვილები, მისი ბატონ-პატრონები, მისი მშრომელები, მისი მოქალაქეები, ვგრძნობთ ჩვენს ერთიანობას, ჩვენს სოციალურ თანაზიარობას, ჩვენს განუყოფლობას სამშობლოსთან. დადგა დრო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობისათვის მზადებისა. ხოლო ჩვენი პარტიის ყოველი ყრილობა შეჯამებაცაა და ეტაპიც. ყრილობისათვის მზადების დრო ყოველთვის არის დრო განვლილ გზაზე ფიქრისა, დრო მიღწეულის შეფასებისა, დრო სამომავლო გეგმებისა, დრო იმედისა და ოცნებისა.

როდესაც ვოცნებობთ, ვიმედოვნებთ, ვგეგმავთ, ჩვენ არ გამოვაცალკევებთ ჩვენს თავს ქვეყნისაგან, ჩვენს ბედს — მისი ბედისაგან. და ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ყველა საქმე გულთან მიგვაქვს, ჩვენს სისხლხორცეულ საქმედ მიგვაჩნია.

დიახ, საბჭოთა ადამიანებს ასეთი ხასიათი აქვთ — ერთგული, პატიოსანი და სუფთა. ბამ-ს, „ატომმაშ", გაზსადენ „სოიუზს" ვაშენებთ თუ შორეული ტყეების განცალკევებულ კორდონებზე, საოკეანო ხომალდზე, ნოვოსიბირსკის აკადემქალაქსა თუ საკოლმეურნეო მინდვრებში ვშრომობთ — ყველგან ჩანს საბჭოური ხასიათი, მისი თვისებები. რა თვისებები? იდეური სიწმინდე და პარტიის საქმის ერთგულება. კოლექტივიზმი, ამხანაგობა და ურთიერთდახმარება. თავდადება, მოვალეობის ერთგულება, უანგარობა. მისწრაფება, რაც შეიძლება მეტი სარგებლობა მოუტანოს თავის სამშობლოს, ერთგულად ემსახუროს მას, განამტკიცოს მისი ძლიერება.

საბჭოური ხასიათის თვისებებმა ღირსეული ხორცშესხმა ჰპოვა ლ. ი. ბრეჟნევის წიგნებში „მცირე მიწა", „აღორძინება", „ყამირი".

საბჭოური ხასიათი სოციალური მოვლენაა, ღირსი ყოვლად გულწრფელი აღტაცებისა.

სსრკ მწერალთა კავშირის გამგეობა და ყოველკვირეულ „ნედელიას" რედაქცია აცხადებენ საკავშირო კონკურსს საუკეთესო მოთხრობაზე დევიზით „საბჭოური ხასიათი".

მიიღება მხატვრული ნაწარმოებები, რომელთა მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს მანქანაზე გადაბეჭდილ თხუთმეტ გვერდს (ორი ინტერვალით).

დაწესებულია პრემიები:

პირველი — 1.000 მანეთი;
ორი მეორე — 750 მანეთი თითოეული;
სამი მესამე — 500 მანეთი თითოეული.

რუბრიკით „საბჭოური ხასიათი" დაბეჭდილი მოთხრობების ავტორებს პრემიად მიეცემათ სამახსოვრო ჯილდოები.

კონკურსის შედეგები შეჯამდება სკკპ XXVI ყრილობის წინადღეებში.

მოთხრობები გამოგზავნეთ მისამართით:

Москва, Пушкинская площадь, 5. «Неделя». «Советский характер».

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ხელნაწერი ავტორებს არ უბრუნდებათ.

ს. გაჩეჩილაძე

ქართულმა საბჭოთა მწერლობამ და ფილოლოგიურმა მეცნიერებამ მძიმე დანაკლისი განიცადა — გარდაიცვალა ცნობილი მწერალი და მეცნიერი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, 1932 წლიდან სკკპ წევრი სიმონ გიორგის ძე **გაჩეჩილაძე** (წეველი).

ს. გაჩეჩილაძე დაიბადა 1898 წელს სოფელ წევაში (ზესტაფონის რაიონი).

ს. გაჩეჩილაძის შემოქმედებითი ცხოვრება ქუთაისის გიმნაზიის მოწაფეობიდან იწყება. ვისაც ჩვენი საუკუნის ათიანი წლების ქართული ჟურნალ-გაზეთები, ალმანახები და კრებულები დაუთვალიერებია, უეჭველად შეხვდებოდა ს. წეველის ლექსებსა და მოთხრობებს. ნიჭიერი შემოქმედის ლექსები გ. ლეონიძემ 1919 წელს ქართული პოეზიის ცნობილ ანთოლოგიაშიც კი შეიტანა.

მუშაობის პირველი წლებიდანვე ს. გაჩეჩილაძე აქტიურად მონაწილეობდა აგრეთვე საზოგადოებრივ და პედაგოგიურ საქმიანობაში. იყო ბათუმის ვაჟთა გიმნაზიის მასწავლებელი, ბათუმის რკინიგზის სკოლის დირექტორი. წლების მანძილზე მუშაობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პარტიული მუშაობის ცენტრალური კაბინეტის გამგედ. როგორც ერთ-ერთი ხელმძღვანელი, მუშაობდა სატირულ ჟურნალში „ტარტაროზსა" და „ნიანგში" (1929-1945 წლები), აქვეყნებდა სატირულ ლექსებსა და მოთხრობებს „მედუზას" ფსევდონიმით, წერდა საბავშვო ლექსებსა და ბევრი მათგანი შეტანილი იყო სასკოლო სახელმძღვანელოებშიც („მამის კვალზე", „მშენებლები", „ბავშვების სისხლი ბარიკადებზე" და სხვ.). ფოლკლორული მასალის კრიტიკული ათვისებითა და მხატვრული მიმზიდველობით გამოირჩეოდა მისი საბავშვო პოემა „რწყილი და ჭიანჭველა".

ერთხანს ს. გაჩეჩილაძე ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგეა საქართველოს კომუნისტურ უნივერსიტეტში. ამ დროიდან იწყება მისი ინტენსიური მუშაობა ლიტერატურის თეორიის დარგში. გამოდის მისი წიგნები — „ქართული ენა და მხატვრული მეტყველება", „სამუშაო წიგნი ლიტერატურაში".

1937 წლიდან ს. გაჩეჩილაძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაუსწრებელი სექტორის ლიტერატურის ფაკულტეტის დეკანია. ამ პერიოდში დაიწერა მისი „ლიტერატურისმცოდნეობის საფუძვლები", რომელიც 1942 წელს დაისტამბა. ახლა, როდესაც ათეული წლები გავიდა მას შემდეგ, რაც პირველად გამოიცა ეს შრომა, უფრო მკაფიო ხდება ის მიზეზები, თუ რატომ გაუძლო ამ წიგნმა ათეული წლების გამოცდას.

ს. გაჩეჩილაძე არის ქართული სკოლებისათვის „ლიტერატურის თეორიის" სახელმძღვანელოს პირველი შემქმნელი, ლიტერატურის თეორიის, ესთეტიკის, პოეტიკის საკითხებზე ორასამდე ნაშრომის ავტორი.

1944 წლიდან ს. გაჩეჩილაძე გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში მუშაობდა, სადაც წლების მანძილზე ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრას ხელმძღვანელობდა, უკანასკნელ ხანს კი ამავე კათედრის კონსულტანტი და პროფესორი იყო.

მიღებული ჰქონდა მთავრობის ჯილდოები.

საუკეთესო ადამიანის, გულისხმიერი მოქალაქისა და მამულიშვილის, თვალსაჩინო ლიტერატორისა და მეცნიერის, მრავალი თაობის აღმზრდელის სიმონ გაჩეჩილაძის ხსოვნას ვერ დაივიწყებს ქართული მწერლობისა და ფილოლოგიის მეცნიერების ისტორია.

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა; საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი.

ქუთაისის თეატრის გასტროლები

მოლხენილი კაცის დრამა

ვასილ კიკნაძე

ბეწვის ხიდზე სიარულს უდრის დავით კლდიაშვილის ნაწარმოებთა დადგმა. მისი „ცრემლიანი სიცილი" ტრაგიკომიკურ სიტუაციათა არსის ზუსტ ამოხსნას მოითხოვს. აქ აუცილებელია წონასწორობის შენარჩუნება. უმთავრესად ეს მწერლის ტრაგიკომიკურ ნილბებს ეხება. თუმცა არც ე. წ. მეორე ნაკადია იოლი დასადგმელი. ორთავე ერთად კი მოიცავს სოციალური დრამისა და ტრაგიკომედიის მრავალ პლანსა და ასპექტს. ერთი მხრივაა „სოლომონ მორბელაძე", „სამანიშვილის დედინაცვალი", „დარისპანის გასაჭირი", მეორე მხრივ — „უბედურება", „მსხვერპლი", „მიქელა", „ქამუშაძის გასაჭირი", „ირინეს ბედნიერება". თვით სათაურებშიც კი აქცენტირებულია უბედურების თემა. ღრმა სოციალურ კონფლიქტში არიან მოქცეულნი კლდიაშვილის „პატარა ადამიანები", ისინი გაოცებულნი დგანან დიდი ურბანიზაციის პროცესის წინ და სევდას განიცდიან, მიწა რომ ეცლებათ ფეხქვეშ. უცნაურად აწრიალებულან, აფუსფუსებულან, თითქოს სადღაც მიდიანო. მათი სტაბილური ცხოვრების ყველა ნორმა დარღვეულია. მოლხენილი კაცის დრამა თუ სულისშემძვრელი პირქუში სურათი — ყველაფერი მწერლის დიდი ჰუმანიზმით არის განათებული. დ. კლდიაშვილი გვიჩვენებს, რომ მწერლის უპირველესი ვალია კი არ დასცინოს, არამედ მიეშველოს ადამიანს „მოთმინება-გამძლეობაში, გაამხნევოს, გული გაუმაგროს, მოაგონოს კიდევაც მამაცობა, პატიოსნება, იმედი, სიამაყე, თანაგრძნობა, სიბრალული, თავგანწირვა — ყველაფერი ის, რაც ადამიანის წარსულს დიდებით მოსავდა". როგორ ზუსტად ესადაგება უ. ფოლკნერის ეს სიტყვები კლდიაშვილის გმირთა სამყაროს. ეს სამყარო კი ერთობ ვრცელი აღმოჩნდა. რაც უფრო დიდია წადილი მისი მთლიანობაში დანახვისა, მით უფრო ფართოვდება იგი. დასალიერს მიუახლოვდები თითქოს, და ჰორიზონტი შორს იწევს. ქართული თეატრი გაიტაცა დაუსრულებლობის ამ გრძნობამ.

დ. კლდიაშვილის ნაწარმოებთა სცენური ისტორია აზრთა სხვაობით დაიწყო. იგი წარმოიქმნა ვ. აბაშიძისა და ლ. მესხიშვილის სკოლების თავისებურებაში. მას შემდეგ არ შენელებულა ფარული თუ აშკარა პოლემიკა დამდგმელთა პოზიციებს შორის. ეს პროცესი თვითგანახლებისაკენ უბიძგებდა ქართულ თეატრს. იგი განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა 60-იანი წლებიდან. დაიწყო დ. კლდიაშვილის ნაწარმოებთა სცენური მრავალსახეობა.

დღეს არც ერთ ქართველ მწერალს არ რგებია თეატრში ასეთი აღიარება. გლობალური მასშტაბი შეიძინა თეატრისადმი დ. კლდიაშვილის ინტერესებმა. კლდიაშვილმა ქართულ თეატრს განახლების მძლავრი იმპულსი მისცა. მწერალი ადრეც გრძნობდა თავის ისტორიულ მისიას თეატრში: „უბედურება" პირველად მ. ქორელს წააკითხა, — ქუთაისში „ახალ გზას" ადგახართ და ეგებ ჩემი პიესა გამოგადგეთო. მ. ქორელმა უპასუხა, ამ პიესას სამხატვრო თეატრი სჭირდებაო. დ. კლდიაშვილი მორიდებული ავტორი იყო და დუმილით გაშორდა რეჟისორს. „ახალი გზა" და სამხატვრო თეატრის მასშტაბი შემთხვევითი მოვლენა არ გახლდათ. ფსიქოლოგიური რეალიზმის დამკვიდრებისათვის ბრძოლა ახალ არსს ქმნიდა ქართულ თეატრში და მისი თავკაცი მწერალთა შორის დ. კლდიაშვილი უნდა ყოფილიყო. მოხდა ისე, რომ მაინც ქუთაისის თეატრმა მისცა დასაბამი დ. კლდიაშვილის სამყაროსთან მიახლოებას. იქიდან დაიძრა ფსიქოლოგიური რეალიზმის მძლავრი ნაკადი. და რა ბუნებრივია, რომ გოგი ქავთარაძემ ასე გამორჩეული ყურადღება მიაქცია დ. კლდიაშვილს. სამი წლის წინ „ქამუშაძის გასაჭირი" დაიდგა (რეჟისორი შ. კობიძე), ხოლო გასულ სეზონში „სურათები იმერეთის ცხოვრებიდან" („ირინეს ბედნიერება" და „დარისპანის გასაჭირი"). ეს უკვე თეატრის თანმიმდევრული სარეპერტუარო პოლიტიკაა. ჩვენი თანამედროვეობისადმი მიძღვნილი პრობლემური ნაწარმოებების გვერდით ქართული კლასიკის ასე წამოჩენა თეატრის თავმოსაწონი პოზიციაა.

ქართული თეატრის ლექსიკის განახლებაში, სცენურ ფორმათა და ხასიათთა მრავალპლანიან ძიებებში ბევრი რამ საინტერესო იქნა მიღწეული. ქართველმა რეჟისორებმა დიდი ტაქტიცა და გაბედულებაც (ზოგჯერ ზედმეტადაც!) გამოიჩინეს კლდიაშვილის მიმართ. დაიდგა სპექტაკლები, ფილმები, სადაც უთუოდ იგრძნობოდა ნაწარმოებთა ახლებური წაკითხვის სურვილი. სპექტაკლებს დგამენ მ. თუმანიშვილი, ლ. იოსელიანი, ი. კაკულია, თ. ჩხეიძე, რ. სტურუა, შ. გაწერელია, ს. მრევლიშვილი, ლ. ნიკოლაძე, ახალგაზრდა რეჟისორები ვ. ჩიგოგიძე, შ. კობიძე. და ეს ყველაფერი ხდება ბოლო ათწლეულში! ამ დიდ ინტერესს აქვს თავისი ლოგიკა. ქართული თეატრი დ. კლდიაშვილის შემოქმედებით ამდიდრებს ეროვნულ თეატრალურ სტილისტიკას, ეძებს თანადროულ გამომსახველ ლექსიკას. თანამედროვე თეატრალური ესთეტიკისათვის ერთობ ახლობელი და გასაგები აღმოჩნდა ეგზომ საჩინო ლაკონიზმი, სამყაროს ტრაგიკომიკური აღქმა, პიროვნების გაორება, გადაფასების ტენდენცია, პლასტიკური ხედვა, მეტაფორული აზროვნება, უბრალო ადამიანის სულში წვდომის პოეტიკა, სულიერი მარტოობის მოძალებისა და მასთან ბრძოლის, იმედისა და მოთმინების ფილოსოფია, ნიღბოსანთა საკარნავალო სვლის უაღრესად ცხოვრებისეული განცდა. თითოეული ეს საკითხი ცალკე პრობლემაა, ერთად კი რთული სინთეზი — რომელ თეატრს არ მოხიბლავს ეს რთული ეროვნული ფენომენი? ერთობ ვრცელი აღმოჩნდა სივრცე დ. კლდიაშვილის თეატრისა, რომელიც დიდი ხანია გასცდა „იმერეთის ორღობეებს".

აი, ზოგადად ასეთი ტრადიცია დახვდა გოგი ქავთარაძის სპექტაკლს „სურათები იმერეთის ცხოვრებიდან". ძიებათა რთულ ფონზე მან იპოვა თავისი გამორჩეული ადგილი. სპექტაკლი თავისებურად ტრადიციულიც არის და სრულიად ნოვატორულიც. რეჟისორმა შეგნებულად უარყო სტილიზაციის გზა, უფრო რთული სვლა აირჩია. გარეგნულად ბევრი რამ „ძველი" დატოვა, ისევ ჩოხებში მოგვევლინენ დ. კლდიაშვილის გმირები. ჩოხას კი თანადროული აზრის გადმოცემაში ხელი არ შეუშლია.

არსებობს „ირინეს ბედნიერებისა" და „დარისპანის გასაჭირის" ერთ საღამოს წარმოდგენის დიდი ტრადიცია. პიესათა ასეთი „გაერთიანება" აქამდე თითქოს ყოველთვის სპექტაკლის დროის რეგლამენტის (თუ შეიძლება ასე ითქვას!) დაცვას გულისხმობდა. გ. ქავთარაძემ დაარღვია ეს ტრადიცია და ერთ მთლიან სპექტაკლად მოიაზრა ორთავე პიესა. თითქოს შეუთავსებელი (ჟანრული განსხვავებულობა!) შეათავსა, მარჯვედ გამოიყენა „ახალი დრამის" ესთეტიკა, ერთგვარად შეარბილა „დარისპანის გასაჭირის" კომიკური საწყისი, რათა რამდენადმე დაერღვია მისი ჟანრული განსაზღვრულობა, „დარისპანის გასაჭირს" გზა მისცა უკეთ შენივთოდა „ირინეს ბედნიერებას", ღრმა ფსიქოლოგიურ დინებას ინტონაციური გაგრძელება ეპოვა „ირინეს ბედნიერებაში". „გასაჭირი" და „ბედნიერება" (რაც იგივე გასაჭირსა და უბედურებას ნიშნავს!) ერთ აზრს იძენს, ერთ სიბრტყეზე ლაგდება და მთელი სპექტაკლის სტილისტიკა ერთ მთლიან დეკორატიულ (მხატვარი ჯ. ფაჩუაშვილი) გადაწყვეტაში ფიქსირდება. რეჟისორი და მხატვარი ერთიანდებიან სათქმელით, პოზიციით, იქმნება სრული ჰარმონია, სადაც ნაღვლიან შემოდგომის ფოთოლთცვენას და ბილიკებზე მიმავალ ადამიანთა მკრთალ სილუეტებს წარსულის მოგონებებში გადავყავართ.

გ. ქავთარაძის ექსპერიმენტალიზმი ახალ აზრობრივ მინიშნებებში, უცნობ აქცენტებში და არაიშვიათად რისკიან დეტალებში ძევს. რეჟისორმა ახალ სიბრტყეზე განალაგა კაროჟნასა და ნატალიას ურთიერთობა; აქამდე საწყისშივე დარღვეული იყო მათი კომუნიკაბელობა, ისინი მოქიშპე ძალებად წარმოგვიდგებოდა. გ. ქავთარაძე კი სწორედ მათ ურთიერთკავშირზე აგებს ფართო სოციალურ კონტრასტს, ყმაწვილი ქალები ერთიანდებიან ცხოვრების პირისპირ. დოდო ტაბატაძის ნატალიაში წარმოჩნდა აქამდე უცნობი სევდა, სხვაგვარად აჟღერდა მისი პროტესტი და კაროჟნას ბედის თანაზიარობის იდეა. ახალგაზრდა მსახიობი ჩინებულად ართმევს თავს ამ რთულ მისიას. კარგი აქტიორული დაწყვილება მოხდა ნ. ნავროზაშვილისა და დ. ტაბატაძის სახით. ნავროზაშვილის კაროჟნას ღრმა სევდა ლაკონიურ ფორმაშია მოქცეული. ახალგაზრდა მსახიობი ზუსტად მოქმედებს. მის დუმილში ნათლად იგრძნობა შინაგანი დაძაბულობა. ლოგიკურად მზადდება სპექტაკლის კულმინაციური მომენტი. რეჟისორი ქმნის მიზანსცენებს, სადაც თავს იყრის და კონდენსირდება გმირთა მთელი ურთიერთობა. ფსიქოლოგიურად შემზადებულია სიტუაცია, რათა ნაძალადევ მხიარულებას დრამატული გამძაფრება მოჰყვეს. გოგონებს მოთმინების ფიალა აევსოთ. ოსიკოსა (ა. ნიკოლაიშვილი) და ონისიმეს (გ. ბერძენი) ვაჟური ხასიათი (მუშტრის თვალით რომ უყურებენ ქალიშვილებს!) კიდევ უფრო ამძაფრებს შექმნილ ატმოსფეროს. დარისპანი (ვ. მეგრელიშვილი), პელაგია (ლ. ვაშაკიძე) და მართა (ნ. კვეიძე) დაბნეულნი, შეწრიალებულნი ხან ერთმანეთს უპირისპირდებიან, ხან ერთიანდებიან, ერთად „უტევენ" სახიძოს. მოვლენების ჯაჭვი მაგნიტური ველივით იზრდება და მთელს ამ შემზარავ სანახაობას ამთავრებს ნავროზაშვილის კაროჟნას პროტესტი. იგი იატაკზე დაანარცხებს ჩაის ჭიქას და თეფშს. სტატიურ პოზიციაში გაქვავდება ყველა. თავზარდამცემი იყო მოულოდნელი ჟესტის ეფექტი. ყველა გამოაფხიზლა ამ ფაქტმა. ნატალია კი უფრო დაუახლოვა კაროჟნას, ამიერიდან ნატალიაც მიხვდა, რომ არ კმარა მარტო ცხვირის აბზეკა, მეტი პროტესტია საჭირო. და იგიც წარმატებით იმეორებს კაროჟნას საქციელს. რეჟისორულად შესანიშნავ სცენას, რომელიც აქტიორულად ზუსტად არის გამართლებული, მოსდევს ცეკვის სცენა. ნაღვლიანია სპექტაკლის ფინალი. შემოდგომის ფოთოლცვენის ფონზე ისმის მუსიკა (გაფორმება ო. ბრეგაძისა), რომელიც ბინდნაკრავ გზაზე მიაცილებს დარისპანს, მართას, ნატალიასა და კაროჟნას. მარტო დარჩენილ პელაგიას ახალი წუხილი მოადგება კარს. ერთფეროვანი და მძიმე ცხოვრება გრძელდება...

გ. ქავთარაძის სპექტაკლი ათას ფიქრსა და საზრუნავს აღძრავს. წარმოდგენის ანსამბლურ გადაწყვეტაში ყველა მსახიობს თავისი ადგილი აქვს მიჩენილი. რამდენი საინტერესო დეტალი და ნიუანსი იგრძნობა ნ. კვეიძის შესრულებაში, არტისტულია მისი ჟესტი და მრავალპლანიანი მოქმედება; ვ. მეგრელიშვილს მოაქვს დიდი ადამიანური სითბო და ტკივილი; შესანიშნავად არის გარდასახული და ფილიგრანულად დახვეწილი ლ. ვაშაკიძე პელაგიას როლში. წარმოდგენის რიტმული მოძრაობა, ფორმის გრძნობა, დიდი აზრის არტისტულ ანსამბლში ფიქსირება რეჟისორის მაღალი ოსტატობის მაჩვენებელია. რეჟისორისა და მხატვრის ნიჭიერება ვლინდება ყოველ დეტალში, ნივთში, რომელთაც მხატვრული ფუნქცია აქვთ მინიჭებული.

სპექტაკლში საკამათოც არის. ზოგჯერ ზედმეტად შენელებულია კომედიური საწყისი. სიტუაციების კომიზმს დრამატული საბურველი გადაკვრია. იქნებ საჭირო იყო ტრაგიკომიკური კონტრასტების წარმოჩენაც. მეტისმეტად სარისკო ჟესტად გვეჩვენება, როცა დარისპანს ჩამოსართმევად გაწვდილი ხელი ორჯერ ჰაერში შერჩება. დეტალში არის საინტერესო აზრი, მაგრამ დ. კლდიაშვილის გმირები განსაკუთრებულ როლს ანიჭებენ ეთიკურ მომენტს, ზუსტად იცავენ ურთიერთობის ნორმებს. უხეშობა ურთიერთობაში შეუთავსებელია დ. კლდიაშვილის გმირების ქცევასთან. რამდენადმე ხელოვნურია მართას მიერ დარისპანის ყაბალახის „მოქაჩვა". გადახედვა სჭირდება თეფშების მტვრევის სცენასაც. საქმე მარტო ტავტოლოგიაში როდია. მანამდე უკვე გარკვეულია ნატალიას პოზიცია და აღარ სჭირდება ზედმეტი ხაზგასმა, გასაგებია, რომ სცენა ფსიქოლოგიურად ამზადებს დედა-შვილის მიერ თავიანთი ბედის დატირების სცენას (რეჟისორულად ესეც ახლებური გააზრებაა!), მაგრამ რაღაც მეტი ზომიერება მაინც არის საჭირო თეფშების დაუსრულებელ მტვრევაში.

„ირინეს ბედნიერება" ბუნებრივად აგრძელებს სპექტაკლის საწყის დრამატიულ ტონალობას. რიტმული მონაცვლეობა აცხოველებს სცენურ სიტუაციებს, მეტ მრავალფეროვნებას ანიჭებს მოვლენების განვითარებას. რეჟისორი კვლავ ახლებურ გააზრებას გვთავაზობს. რეჟისორი და მსახიობი აბესალომს (გ. ღელეყვა) ხასიათში პოულობენ ნათელ ადამიანურ საწყისებს. აბესალომს ახალგაზრდული ვნება და ძალადობის ინსტინქტი ერთი მხრივ, ხოლო ფილიპეს (ე. ბეჟუაშვილი) პატრიარქალური წარმოდგენა ქალის სიყვარულზე, მეორე მხრივ, ირინეს (ნ. ჟორჟოლიანი) აიძულებს დაემორჩილოს განაჩენს. აბესალომ მის მიერ მოგონილი ტყუილის ბადეში გახვევა. იმდენად ძლიერი აღმოჩნდა ჭორის ძალა, პატივმოყვარეობა, რომ აბესალომს აღარ შეუძლია სიყვარულის გამჟღავნება. სპექტაკლში ჩანს, რომ უყვარს ირინე, საალერსოდაც წაიწევა, მაგრამ შებორკილია მისი ნებისყოფა. რეჟისორი სცვლის ფინალსაც. აბესალომ ჰკლავს ირინეს. პიესაში კი ირინე ამბობს: ნეტავი მართლა მოეკალიო! აბესალომ „ნახევრად იძრო ხანჯალი", ყმაწვილები შეაჩერებენ. რეჟისორს ჰქონდა თუ არა ფინალის შეცვლის საფუძველი? სპექტაკლის აზრობრივი გადაწყვეტა, მოვლენათა განვითარების ხასიათი და რეჟისორული აქცენტები მას ამის უფლებას აძლევდა. ირინეს მორალური განადგურება სიკვდილის ტოლფასოვანია. ძველ ქართულ თეატრში (და შემდეგაც!) სპექტაკლი მეტწილად ირინეს სიკვდილით მთავრდებოდა. კრიტიკა მას მელოდრამატულ და უხერხულ დეტალად მიიჩნევდა. დ. კლდიაშვილს საყვედურობდნენ ამის გამო (თუმცა მწერალი რა შუაში იყო?). ქუთაისის თეატრში არავითარ სცენურ უხერხულობას არ ქმნის ირინეს სიკვდილის ფაქტი, იგი შემზადებულია საამისოდ.

„ირინეს ბედნიერებისა" და „დარისპანის გასაჭირის" გმირებს სცენაზე ერთი ტრიბუნასავით ადგილი აქვთ მიჩენილი. როცა ფიქრი ხმამაღლა აქვთ გასაცხადებელი, როცა რაიმე მნიშვნელოვანი აზრის გამოყოფა უნდათ, სწორედ იმ ადგილას ჩერდებიან და ისე მიმართავენ მაყურებელს. ეს თავისებური პუბლიცისტური „გასვლა მოქმედებიდან" ზომიერად არის შერჩეული.

„ირინეს ბედნიერების" აქტიორულ დონეს ქ. კოლხიდელის (ეკა), ი. სიხარულიძის (სამსონი), გ. ღელეყვას, ე. ბეჟუაშვილის, ნ. ჟორჟოლიანის, მ. ჩიქოვანის, ქ. ჩხეიძის, თ. თავაძის, კ. სამანიშვილის, ბ. ცერცვაძის გმირები ქმნიან. არათანაბარია შესრულების დონე და ოსტატობა, განსხვავებულია მათი ფუნქციური მდგომარეობაც სპექტაკლში. ზოგჯერ ძნელდება რთული ფსიქოლოგიური ამოცანის გადაწყვეტა, არის მონოტონურობის საფრთხეც აქა-იქ, მაგრამ მთავარი მიღწეულია. ირინეს ხასიათის ევოლუციაში კარგად იკითხება ქალის პატრიარქალური მორჩილებიდან თავის დაღწევის რთული გზა. ირინეში იღვიძებს შელახული ღირსების დაცვის სურვილი და მისი უკანასკნელი პროტესტი ახალი ძალადობით მთავრდება.

გ. ქავთარაძემ სპექტაკლში გამოხატა ქალის გაღვიძებული გონება და ახალი მორალური პრინციპების საბრძოლველად განაწყო. თავიანთი ღირსების დასაცავად იმაღლებენ ხმას ირინე, კაროჟნა და ნატალია. ისინი თითქოს მარტონი არიან უკუღმართსა და გაუტანელ წუთისოფელში, იასავით ნაადრევად მოსულან სუსხსა და ყინვაში. სცენიდან ისმის მათი ქვითინის ხმა, ისევ გრძელდება ნაგვიანევი შემოდგომის ფოთლების ცვენა, ორღობეებში მიდიან მგზავრები, მიდიან ნელ-ნელა და მაღლა.

გონებამახვილური ნათქვამია: სეზანის პატარა სურათში მთელი ზღვა ეტევაო. ასეა აქაც. კლდიაშვილის „იმერეთის სურათებში" მთელი ცხოვრებაა მოქცეული. დავით კლდიაშვილმა ქუთაისის თეატრში კვლავ იპოვა „თავისი მოსიყვარული, განსხვავებული მოსიყვარული გამომსახველი" (კლდიაშვილი).

პორტრეტი კოლექტივთან ერთად

— რა არის რეჟისურა? — შეეკითხება ერთი ცნობილი რეჟისორი მეორე ცნობილ რეჟისორსა და მსახიობს, და დარბაზში მყოფთ გაოცება გამოეხატებათ სახეზე, რადგან შემკითხველის სახელთან დაკავშირებულია ქართული რეჟისორული აზროვნების არაერთი გამონათება. ამიტომ დარბაზი კითხვას ამაო, ფუჭ გასართობად მიიჩნევს. როცა თემურ ჩხეიძე ასეთ კითხვას უსვამს გოგი ქავთარაძეს და ვგრძნობთ, რა დიდი გულისყურით ელოდება პასუხს იმაზე, რაც ესოდენ მთავარია მისთვის, რაც სიცოცხლის მიზნად და ამოცანად ქცეულა, ჩვენ გვესმის ორი მეგობრის გულისცემა. ისიც გვესმის, რომ თითოეულ მათგანს ცალ-ცალკე და ერთადაც არაერთგზის უფიქრია ამ საკითხზე და მიუხედავად იმისა, რომ კარგა დიდი გზა გალიეს ხელოვნებაში, მაინც ვერ მოუნახავთ ერთი პასუხი.

ამიტომაც გასაგებია გ. ქავთარაძის ხანგრძლივი პაუზა, დაძაბული ფიქრი... და პასუხიც ნაწილობრივ თუ ამხელს მის დამოკიდებულებას პროფესიისადმი, გამოხატავს თეატრალური ხელოვნებისადმი სწორედ მისეულ დამოკიდებულებას.

— ალბათ უნდა იცოდე, თუ რისი თქმა გსურს.

ჩვენში ძალზე მომრავლდა შემოქმედებითი საღამოები, როცა საუბარი მშრალ ღონისძიებად გადაიქცევა ხოლმე. მიუხედავად მდიდარი შემოქმედებითი ბიოგრაფიისა — კინოში, რეჟისურაში, თეატრის მსახიობის სარბიელზე მიღწეული წარმატებისა, გ. ქავთარაძეს მაინც მიაჩნია, რომ მისი თაობა უფრო მოკრძალებული უნდა იყოს თავისი ნაღვაწის შეფასებისას, თავი უნდა აარიდოს პომპეზურობას, გაზვიადებას. ამიტომ მსახიობის სახლის მიერ მოწყობილი შემოქმედებითი საღამო-შეხვედრა, რომელიც თემურ ჩხეიძეს მიჰყავდა, გადაიქცა ხელოვნებაზე საუბრის საღამოდ, საღამოდ, როცა მას დითირამბები კი არ უნდა მოესმინა, არამედ თავისი შემოქმედებითი კრედო — თეატრისადმი, კინოსადმი, აქტიორული ოსტატობისადმი თავისი დამოკიდებულება გამოევლინა; და ამ ორი ხელოვანის მიერ წარმართული საუბრის, კამათის შემეცნებითი მნიშვნელობა დარბაზში მოსული მაყურებლისათვის მართლაც საინტერესო გახდა.

დიახ, გოგი ქავთარაძის — ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელისა და დირექტორის, ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატის, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის შემოქმედებით საღამოზე გამოდიან თავად „იუბილარი", რომელიც მთელი საღამო იმას ეშურებოდა, რომ იუბილარის პოზას განრიდებოდა, მისი დასის წევრები და რუსთაველის თეატრის რეჟისორი თემურ ჩხეიძე. ისინი გვთავაზობენ საღამოს არასაიუბილეოს, მოულოდნელ და უჩვეულო გადაწყვეტას — საუბრობენ, და ეს საუბარი ფიქრის, კამათის, აზრის გაზიარების სურვილით აღავსებენ მაყურებელს.

მართლაც არის საფიქრალი — ქუთაისის თეატრის ამჟამინდელი მცირე გასტროლები ხომ მრავალმხრივ გამოდგა საყურადღებო. ამ შემთხვევაში მხოლოდ სპექტაკლების მხატვრული დონე როდია მთავარი. მნიშვნელოვანია ის თვისობრივი სიახლე, რომელიც თეატრის ორი ბოლო სეზონის მონაპოვარია. სუსტი სპექტაკლიც იყო მის რეპერტუარში, მაგრამ ამ სპექტაკლმა უფრო რელიეფურად გამოავლინა დ. კლდიაშვილის, ლორკას, გ. ბათიაშვილის, ა. აბდულინის პიესებში მიღწეული რეჟისორული სიმაღლე. მსახიობებიც სხვანი გვეჩვენენ ამ გასტროლებზე, ე. წ. მეორე, მესამე პლანის მსახიობები ახლა წამყვან, ჩინებულ აქტიორულ ძალად მოგვევლინენ (ესეც ხომ ერთი შემადგენელი ნაწილია რეჟისურისა?) და კიდევ ერთხელ დაგვარწმუნეს ქართული აქტიორული სკოლის ძლიერებაში.

საუბარს საინტერესოს ხდიდა ისიც, რომ რეჟისორის ესა თუ ის თეზა, თეატრალური ხელოვნებისადმი მისი დამოკიდებულება თვალსაჩინო ხდებოდა იქვე გათამაშებული სცენებით, და ჩვენთვის ცხადი ხდებოდა გ. ქავთარაძის თეატრალური ესთეტიკის მთავარი პრინციპები.

აი, ასეთი პროფესიული საუბარი მიმდინარეობდა 29 სექტემბერს მსახიობის სახლის სცენაზე და სწორედ ეს პროფესიული დონეა სანუკვარი. ამ საუბარში გამოიკვეთებოდა გ. ქავთარაძის შემოქმედებითი პორტრეტი. მისი შემოქმედებითი სახე. ამ პორტრეტის უფრო სრულად წარმოსასახავად საუბრობდნენ პოეტი გუჩა ქვარაცხელია და პროზაიკოსი რევაზ მიშველაძე, ხოლო დიმიტრი ალექსიძის შესავალი სიტყვა ფაქტიურად დიდი შეფასება გახლდათ ქუთაისის თეატრის დღევანდელი მიღწევებისა, ის გახლდათ გამოჩენილი რეჟისორის მიერ გამჟღავნებული ფიქრები, უფრო კი სიხარული იმის გამო, რომ ქართული თეატრის ახალი თაობა ღირსეულად განაგრძობს წინაპართა გზას.

გურამ სახალელი

სცენები სპექტაკლიდან — „ბერნარდა ალბას სახლი" და „ვალი".

ფოტო საქინფორმის ფოტოქრონიკისა.

უკვალოდ არ ქრებიან...

ჩემმა ბავშვობამ ამ ადამიანის თვალწინ გაიარა. გარდა იმისა, რომ სიყრმის მეგობრის მამა იყო, ერთ ეზოში ვცხოვრობდით. წიგნებით გადაჭედილ მის სამუშაო ოთახში გავლა ჭირდა. მაგიდაზე, სკამზე, საწოლზე, ფანჯრის რაფაზე, იატაკზე... ყველგან წიგნები ეწყო — გადაშლილი, გადაკეცილი, მონიშნული, არშიებაჭრელებული. აქ ავიღე პირველად ხელში გალაკტიონ ტაბიძის ეპოქალური წიგნი „არტისტული ყვავილები" და წარწერასაც დიდხანს დავცქეროდი: „სიმონ წეველს — მეგობარ პოეტს — ავტორისაგან. ტფილისი, 1919. ივნისი".

მასთან შესულს რომ დაგინახავდა, ბატონი სიმონი სათვალეს მოიხსნიდა, მუშაობას უმალ შეწყვეტდა, საუბარს გაგიბამდა. განსაკუთრებით ბერძნული მწერლობისა და ხელოვნების ტრფიალი იყო. იოსებ ოცხელის აღზრდილს, ძველ გიმნაზიელს, ზეპირად შეეძლო ეთქვა ჰომეროსის პოემების ნაწყვეტები. არაფრით არ გაგრძნობინებდა, რომ შენზე მეტი იცოდა, თავისი ნაფიქრისა და მიხვედრების თანამოზიარედ გაგხდიდა. მისი გამუდმებული ძიების საგანი ქართული ლექსი იყო. სიცოცხლის ბოლო წლებიც ამ საქმეს შესწირა, მაგრამ, სამწუხაროდ, ყველაფრის თავმოყრა და წიგნად გამოცემა არ დასცალდა. საერთოდ, იგი გაცილებით მეტს მუშაობდა, ვიდრე აქვეყნებდა. საჭირო წიგნი იოლად რომ ეპოვა, ყუაზე წარწერიან თეთრ ქაღალდს აკრავდა. არ მახსოვს, რაიმე მეთხოვოს და უარი ეთქვას. ძველი წიგნები მე ამ კაცმაც შემაყვარა.

კაბინეტსა და ქაღალდის მტვერში გამოკეტილს ვერაფრით ვერ დაარქმევდი. ჰესიოდეს „სამუშაონი და დღენის" და ვირგილიუსის „გეორგიკების" ჩინებულმა მცოდნემ, რაღა თქმა უნდა, მიწისა და ვაზის ყადრიც მშვენივრად იცოდა, საუკეთესო მეურნე იყო. მისი დაწურული ღვინო არაერთხელ გვიგემნია.

ბატონ სიმონს ბოლომდე ბავშვის გულუბრყვილობა შერჩა. იგი ბუნებით პოეტი იყო, ლექსის მხოლოდ თეორეტიკოსი არ ყოფილა. დებმა იმხნელებმა ასე გულშიჩამწვდომად ტკბილად როდი აჟღერეს მისი მშვენიერი რომანსი. მე ძალიან მომწონდა მისი სიჭაბუკისდროინდელი ლექსი, ძველ კრებულ „ჩანგში" გამოქვეყნებული. ერთი სტროფი, მეფის დროს აჯანყებული გურული გლეხების დრტვინვას რომ გადმოსცემდა, ზეპირადაც მახსოვს:

ნასაკირალის ტევრები,
ამტვერებული შარები,
გულები ნასატევრები,
გულები უშიშარები.

მის მოღიმარ სახეს რომ ვუყურებდი, მიფიქრია — წარმოუდგენელია ამ პიროვნებამ ვინმეს აწყენინოს-მეთქი. ეს ასეც იყო. მიუხედავად ხანდაზმულობისა, ერთადერთი, რითაც გული ატკინა ახლობლებსა და მეგობრებს, თავის მრავალრიცხოვან მოწაფეებს, მისი გარდაცვალება იყო. ნუგეში თავად დაგვიტოვა: ასეთი ვალმოხდილი ადამიანები უკვალოდ არ ქრებიან.

ემზარ კვიტაიშვილი

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა და გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს" რედაქცია თანაგრძნობას უცხადებენ გუგუშა ბალათურიას დედის

მარიამ სანიკიძე-ბალათურიას

გარდაცვალების გამო

გამოდის პარასკეობით
ფასი 10 კაპ.

ლიტერატურული საქართველო,
რედაქციის მისამართი,
380004, თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 7.
ტელეფონები:
რედაქტორის — 99-84-04, პასუხისმგებელი მდივნის — 99-91-89, განყოფილებების — 99-67-10.

მთავარი რედაქტორი ვახტანგ ჭელიძე
სარედაქციო კოლეგია: თ. ბექიშვილი, თ. ბიბილური (პასუხისმგებელი მდივანი), წ. გურაბანიძე, ნ. გურეშიძე, ი. თარბა, რ. ინანიშვილი, ა. კალანდაძე, ი. ნონეშვილი, ჯ. ღვინჯილია, ო. ჩხეიძე, ს. ცაიშვილი, თ. ჭილაძე, ფ. ხალვაში.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. ИНДЕКС 66436 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17. უე 10284